№ 2845
ხუთშაბათი,
16 ივნისი

ცნობის ფურცელი

№ 2845
ხუთშაბათი,
16 ივნისი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

19 ივნისს „ბელ-ვიუს" ბაღში გაიმართება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ
სეირნობა და ბაზარი
მიიღება შემოწირულება ბაზრობისთვის „საზოგადოების" კანცელარიაში (სასახლის ქუჩა თავად-აზნაურობის ქარვასლა)
შესასვლელი ფასი 25 კ., ბავშვებისთვის 15 კ.
ბაზარი დაიწყება 2 საათზე და გათავდება საღამოს 10 საათზე.

გამოვიდა და იყიდება კარლ კაუცკის
ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი
(საფრანგეთის წარსულიდან)
ანუ კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წელს. თარგმანი ლ. ელიავასი.
ფასი ერთი აბაზი. (5—6—3)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.
შეუდარებლად. (0—43)

ახალი ბუფეტი
„არარატი"
(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).
სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კ.
(ივ.—6.—25) პატივის ცემით ვანო.

გაიღო რესტორანი ბაღით
„კავკაზი"
(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)
მამა-დავითის გორაზე, [illegible] მოწყობილი კაბინეტებით.
მზადდება ევროპიული და აზიური სადილი:
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინით 6 რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.
ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის დაუკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მართველი კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანიძე. (15—244—9)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 14.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით [illegible]-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—28)

ექიმი
ნ. ტ. მულინი
ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დილით 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე, სუდებნი ქ. № 26. (20—6.—14)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—1-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—23)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
14 ივნისი

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა 13 ივნისის თარიღით: „12 ივნისს რკინის გზის აღმოსავლეთით ფრონტზე გამოილაშქრეს ჩვენის წინა რაზმების წინააღმდეგ მტრის ქვეითებმა და ცხენოსნებმა და ცოტათი ჩრდილოეთისკენ შეავიწროვეს ისინი. ხაილუნჩენის რაიონში, 11 ივნისს, ცხენოსანი მოდარაჯე რაზმი შეავიწროვა მტერმა ცინხეს ხეობაში. მაშველად გაგზავნილ მოხალისეებს სროლით იდევნენ სანცზიატუნთან. მთებში იაპონიის ქვეითი ჯარი სჩანდა. კორეის რაიონში 9 ივნისს მტერმა წინ გალაშქრება განიძრა და იერიში მიიტანა ჩვენს წინა სოტნებზე, რომელნიც უკან წამოვიდნენ ბრძოლის შემდეგ".—ბაიაზიტოვს ნება დართეს გამოსცეს პეტერბურგში თათრულ ენაზე გაზეთი „ნურ"-ი; გაზეთს კვირაში ორ-სამჯერ გამოუშვებენ.

ტოკიო, 13 ივნისი. მოჯიდან მოსულ ოფიცრის სიტყვით, იაპონიის მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ რუსებს ორი დივიზია და დიდ-ძალი ზარბაზნები უყენიათ. რუსის წინა რაზმები 42 მილზე დგანან გოლოკანიდან. ხარბინში 6 დიდი და ამდენივე მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანია. კიონ-სიონის დამჭერი რაზმი 25 მილზე წავიდა წინ ჩრდილოეთით. ნანჩიცზის გასწვრივ რუსებს 20 ათასი ქვეითი და არტილერისტი უყენიათ, რომელთა რიცხვში გენ. მადრიტოვის ჯარებიცაა; ამ გენერალმა დაარსა ხუნხუზების რაზმები

კოლომბო. აქ დაბრუნდა გემი „მაკედონია", რომელიც, ამას წინად, 3000 ტონა ნახშირით დატვირთული, გაემგზავრა ბალტიის ესკადრისაკენ. მას იაპონიის კრეისერი გამოსდგომოდა. ეს გემი ტვირთის გასაღებას ცდილობს.

ტოკიო, 14 ივნისი. რუსები უკან იხევენ ტუმენს იქით. ისინი დაბანაკდნენ ცზუდაოლინის მთებში. რუსები ხიდებს აკეთებენ და იენპანში სიმაგრეებს აგებენ. იაპონიის კავალერია 30 მილზე დგას კიონ-სიონს იქით.

ლონდონი. ჰრისუგავას ინგლისში მოსვლას მიზნად სახელმწიფოების ჩარევის წინააღმდეგ გარანტიის მიღება აქვს; მათი ჩარევა გააქარწყლებდა იაპონელების გამარჯვების ნაყოფს.

პარიზი (?), 13 ივნისი. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ აქ ცოტათი დამშვიდებულები არიან მაროკოს შესახებ.

პარიზი. გერმანიასა და საფრანგეთს შორის მოლაპარაკებას კარგი პირი უჩანს. საფრანგეთი, ალბათ, დასთანხმდება პრინციპიალურად საერთაშორისო კონფერენციაზე.

პეტერბურგი. „იუჟნოე სლოვო"-ს რედაქტორი იუწყება კრემენჩუგიდან, ჩემი გაზეთი კი არ გაუქმებულა; ის შეჩერებულია დაახლოებით ერთის თვის ვადით.

რომი. იტალიის პოლიტიკურ წრეების აზრით, იტალიამ უნდა დაიცვას მოვალეობანი საფრანგეთის წინაშე, მაგრამ ამასთან უნდა ისარგებლოს მაროკოს ინციდენტით, რათა თვისი უფლებანი აღადგინოს ამ გზით ტრიპოლში.

ათინა. დაარსდა საბერძნეთის კაბინეთი: რალლი—მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრია და მავრომიხალისი—სამხედრო მინისტრი.

ვარშავა, 14 ივნისი. „ვარშავსკი დნევნიკ"-ის სიტყვით, გუშინ ფუჭად წაუყრათ აგიტატორებს არეულობის მოხდენაზე ფიქრი, რადგანაც წყნარმა მშრომელმა მცხოვრებლებმა უარი განაცხადეს. საღამოს 10 ს. ქალაქში სიმშვიდე იყო. დღეს ცხოვრებას ნორმალური ელფერი ადევს. დილით არ მუშაობდნენ ფურნეებში, რის გამოც პური აღარაა გასაყიდი. გაზეთები ნორმალურად გამოდიან, „კურიერ პორანნი"-ის გარდა, რომელიც გუშინ არ გამოსულა.

ოდესა. უკანასკნელ ხანებში აქ ფაბრიკებისა და ქარხნების გაფიცულ მუშათა რიცხვი 4 ათასამდე ავიდა.

ლოძი, 14 ივნისი. ქალაქში ყველაფერი წყნარადაა.

კავკავი, 14 ივნისი. კავკასიის ნამესტნიკმა განკარგულება მოახდინა თერგის ოლქის სოფლებში დაუყოვნებლივ იქნას შემოღებული ამორჩეულ მამასახლისთა და მწერალთა ინსტიტუტი და გროზნოში გაიხსნას მკვიდრთა სამასწავლებლო სემინარია, აგრონომიული და პირველ დაწყებითი სკოლები.

ოდესა, 14 ივნისი. დილიდან ქალაქში დადიან გაფიცულები, ითხოვენ საქმეზე ხელის აღებასა და მაღაზიების დახურვას. ზოგიერთ ადგილას ხალხმა ქვებით იგერია პოლიცია. დაიჭირეს ზოგიერთები. შუაგულ ქალაქში გაჩერობა აღარ სწარმოებს. მცხოვრებლები ღელავენ. ქალაქში გაძლიერებული პატრულები დადიან. დადიან აგრეთვე ცხენოსანი ყაზახები. განსაკუთრებული მღელვარება ეტყობა განაპირა ადგილებს, სადაც ფაბრიკები და ქარხნებია. მოხდა შეტაკება პოლიციასა და ყაზახებთან.

ვარშავა, 14 ივნისი. გამოვიდა ყველა გაზეთები. ბევრი მუშები წინააღმდეგნი არიან გაფიცვისა. დღეს ფაბრიკებში მუშაობა იწყება. ქალაქი მშვიდდება.—უნივერსიტეტის სამმა დეკანმა უარი განაცხადა დეკანობაზე, რადგანაც ისინი უკანონოდ სცნობენ მათს სტუდენტების მსაჯულებად დანიშვნას. რექტორი ზილოვიც სამსახურიდან გადაყენებას თხოულობს.

ბელოსტოკი, 14 ივნისი. რადგანაც გაცხარებული ხმებია, ჟლეტა-ხოცვა უნდა მოხდესო, ამიტომ ებრაელსა და ქრისტიან მუშებს ყრილობა ჰქონდათ და დაადგინეს, თუ ვინცობაა გაიმართა ჟლეტა, შეერთებულის ძალით მოვსპოთ იგი დაწყებისთანავე.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
14 ივნისი

გოძიადანი, 14 ივნისი. 9 ივნისს ჩვენს მარცხენა ფრთაზე მტერმა გამოილაშქრა შიმიაოტცზისკენ გაგზავნილ რაზმის წინააღმდეგ. მან იერიში მიიტანა ფრონტზე და იმავე დროს გარს შემოვლა დაუწყო ჩვენს მარჯვენა ფრთას, რამაც იძულებული გახადა ჩვენი რაზმი ლაგუშანისკენ წასულიყო; ამასთან იაპონელები 40 წ. განმავლობაში ტყვიებს ესროდნენ ჩვენს ორივე კოლონსა და ფრთას. სროლამ 24 კაცი გამოაკლო რაზმს. 12 ივნისს იაპონელებმა შეავიწროვეს წინა რაზმები. აღმოჩნდა, რომ იაპონელებს დიდ-ძალი ჯარი შეუკრებიათ ჩვენის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ. კორეიაში იაპონელების წინა რაზმები ჩაჩუდეგი-პუგტინის მიდამოებში დგანან.

ტოკიო. იტომ თავისი ადიუტანტი გაჰგზავნა სასებოში როჟესტვენსკის ჯანმრთელობის შესატყობად. მას დაევალა აგრეთვე განეცხადებინა როჟესტვენსკისათვის მწუხარება დაშავებისა გამო და გაკვირვება მედგარ სიმამაცისათვის. როჟესტვენსკიმ მადლობა გადუხადა.

შანხაი. მოვიდა სავოსპიტლო გემი „მონგოლია". როჟესტვენსკის ყოფილმა ექიმმა განაცხადა, ჭრილობები მოუშუშდა ავადმყოფსო.

პეტერბურგი, 14 ივნისი. გარეშე საქმეთა მინისტრს აუწყა 12 ივნისს შეერთებულ შტატების ელჩმა, რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულთა შესახვედრათ ჩვენ ავირჩიეთ აგვისტოს პირველი რიცხვები ახ. სტილითო. 12 ივნისსავე უპასუხა გრაფ. ლამზდორფმა, რუსეთი თანახმაა ამ წინადადებაზეო.

„ნოვოსტი"-ს სიტყვით, ხმები „სინ ოტეჩესტვა"-ს შეჩერების შესახებ, არაა სწორი. უკანასკნელი 2 ნომერი დაიჭირა ცენზორმა 144 მუხლით ძალით. დანარჩენი ნომრები უწინდებურად გამოვლენ.

ლონდონი. დეპუტატთა პალატამ 329 ხმის უმეტესობით 257 წინააღმდეგ მიიღო წინადადება, განკიცხვა გამოეცხადოს მთავრობას სამხრეთ-აფრიკაში ჩადენილ ბოროტ-მოქმედებებისთვის.

ნიუ იორკი. რუზველტს პეტიცია გაუგზავნა ჩიკაგოში მცხოვრებმა 20 ათასმა ნორვეგიელმა. ისინი სთხოვენ, აღიარონ ნორვეგია ახალ სახელმწიფოდ.

კანეია. პრინც გიორგის მრჩეველთა სამსახურიდან დათხოვნა ითხოვეს იმ მიზეზისა გამო, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა შეუძლებელი გახდა საბერძნეთთან შეერთებაზე უარის თქმამდე.

მოსკოვი, 14 ივნისი. უმაღლესი ბრძანებით 15 ივნისს უნდა გაიწვიონ სათადარიგო ჯარის-კაცები. მიიღებენ ჯარის-კაცთ 20 დღის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად, 1500 კაცამდე დღეში. გაწვეულებს მაშინათვე გაჰგზავნიან დანიშნულებისამებრ, რათა არეულობა არ მოახდინონ. დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული თვითეულ ჯარის-კაცს აუცილებლად საჭირო საგნებით გავსებულ პარკს ურიგებს.

ხარკოვი. საგუბერნიო კრებამ დაადგინა ხელ-ახლა იქნას აღძრული შუამდგომლობა, რათა ხოლერაზე სახალხო კითხვები განცხადებითი წეს-რიგით იქნას ნებადართული.

ვენა. რეიხსტაგმა უარი სთქვა შენერერის წინადადებაზე, რომელიც ეხებოდა უნგრეთთან უნიის დარღვევის საკითხის განხილვას.

პარიზი, 14 ივნისი. რუვიეს ნოტის პასუხი გუშინ მოვიდა გერმანიიდან. გერმანია დაჟინებით ითხოვს კონფერენციის დანიშვნას უწინასწარო შეთანხმებით.

ლიბავა. მოვიდა ორი ბატალიონი ჯარი ნოვოტორჟკის 114 პოლკისა.

ერევანი, 14 ივნისი. ერევანში ისევ მღელვარებაა, ვინაიდან ადამაშფოთებელი ხმები მოდის ხან მაჰმადიანებზე, ხან სომხებზე დაცემისა და აგრეთვე სპარსელ მაჰმადიანების საზღვრებზე გადმოსვლის შესახებ.

პეტერბურგი, 14 ივნისი. ოფიციალური. 31 მაისს მინისტრთა კომიტეტს უკანასკნელი სხდომა ჰქონდა 1904 წლის 12 დეკემბრის უმაღლესის ბრძანების სისრულეში მოყვანის შესახებ.

პიატიგორსკი, 14 ივნისი. კისლოვოდსკმა გულმხურვალედ გაატარა მორდოვცევის გვამი. აუარებელ გვირგვინებით იყო კუბო შემკული, რომელიც სტუდენტებს მიჰქონდათ. ვოკზალზე ლიტერატორებმა ზახაროვმა და ოკუნევმა და ორმა სტუდენტმა სიტყვები წარმოსთქვეს.

თემირ-ხან-შურა, 14 ივნისი. დილის 7 საათზე საკმაოდ საგრძნობელი მიწის ძვრა იყო.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 14 ივნისი. ბირჟის დარბაზში, პიპოვის თავმჯდომარეობით, გაიხსნა სიეზდი, ნიჟნი-ნოვგოროდის ბირჟის ინიციატივით. სიეზდში მონაწილეობას იღებენ ნიჟეგოროდისა, ასტრახანისა, ყაზანისა, სარატოვისა, სამარისა, სიმბირსკისა, პერმისა, რიბინსკისა და კალაშნიკოვისა და მოსკოვის პურის ბირჟების წარმომადგენლები. ნიჟეგოროდის კომიტეტმა აღნუსხა თავის მოხსენებაში რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და აღნიშნა ხალხის წარმომადგენლების დაუყოვნებლივ მოწვევის საჭიროება. მოხსენება ერთ-ხმად იქნა მიღებული. აირჩიეს დეპუტაცია რეზოლიუციის წარსადგენად.

რიგა, 14 ივნისი. გუშინ, საღამოს 11 საათზე ქალაქის განაპირას რევოლვერით მოჰკლეს პოლიციის მიერ ფენიკსის ფაბრიკის უფროსის მცველად დანიშნული კაცი.

კრემენჩუგი, 14 ივნისი. დილით გაიფიცნენ მღებრები, ნაოსნობის შენობებზე მომუშავეებს და მოითხოვეს მუშაობის შეწყვეტა. შუადღისას ყველამ აიღო ხელი საქმეზე. გაფიცულები მშვიდათ იქცევიან.

პეტერბურგი, 14 ივნისი. 10 ივნისს რიაზანის საერობო საავადმყოფოში მოიყვანეს საეჭვო ავადმყოფი კაცი, რომელიც 11 ივნისს გარდაიცვალა. ეჭვი ხოლერაზე აქვთ მიტანილი, თუმცა ნამდვილი გამოკვლევა ჯერ არაა დასრულებული.

ჟურნალ-გაზეთებიდან

მდგომარეობა ბრძოლის ველზე. „ნოვ. დნია"-ს სამხედრო თანამშრომელი სწერს: „უფრო და უფრო ირკვევა იაპონელების მზადება საერთო იერიშისათვის...

გენერალ ლინევიჩის დეპეშა 6 და 7 ივნისისა საუკეთესო ილლიუსტრაცია დაწყებულ წინსვლის სურათისა. ლიაოიანჯუანის აღების შემდეგ (4 ივნისს დილით) იაპონელები შეჩერდნენ და მხოლოდ 6 ივნისის დილის 4 საათიდან ისევ წამოვიდნენ წინ, მაგრამ სხვა და სხვა მიმართულებითა და დიდ სივრცეზედაც.

1 პირველად ყოვლისა აღმოჩნდა, რომ მტერი წინ წამოვიდა რკინის გზის დასავლეთით (იაპონიის მარცხენა ფრთაზე). აქ იაპონელებმა დაიჭირეს სინლუნჩუარი „ძლიერის ქვეითა რაზმებით".

2. იმავე დღეს შუადღეზე იაპონელები წამოვიდნენ რკინის გზის გასწვრივ (ე. ი. ცენტრში) და მივიდნენ შუანმიაოძის სადგურამდე (41 ვერსტი სადგურ გოძიადანის სამხრეთით).

3. დასასრულ, თავიანთ მარჯვენა ფრთაზე იაპონელებმა დაიწყეს რუსის მარცხენა ფრთის მოვლა. დილის 9 საათისათვის ეს მოვლა იმდენად საგრძნობელი შეიქნა, რომ ზოგი მოწინავე რაზმი რუსებისა უკან წავიდა; ზოგი მაგრად დაუხვდა მტერს, მაგრამ ათ საათზე „დაიწყო ჩვენი (რუსების) მოწინავე ნაწილების უკან დახევა"; 12 საათზე-კი იაპონელებმა აიღეს სოფელი სიაოკუზე (50 ვერსტი სადგურ შუნმიაოძიდან) და ორ საათზე იალჯალინი.

ამგვარად ექვს ივნისს გამოირკვა წინ წამოსვლა მტრის 4—5 ავანგარდისა, თითქმის 100 ვერსტის ფრონტზე. შედეგი ბრძოლისა მტრისთვის ხელსაყრელი შეიქნა—იაპონელების ხელში გადავიდა მთელი რიგი სხვა და სხვა პუნქტებისა ნაჩვენებ ფრონტზე...

7 ივნისის მოხსენებიდან სჩანს, რომ „მტერი მთელ ფრონტზე სამხრეთისაკენ წავიდა". აქ ჩვენ ვხვდებით იაპონელების საყვარელ ხერხს. გავიხსენოთ, მთელ ომიანობის დროს რამდენი წინ წამოწევა და უკან დახევა იყო, რამდენი იერიშები, რამდენი მოულოდნელი მიტოვება აღებულ პუნქტებისა. საგანგებო გულს მოდგინეობით კუროკი ახდენდა მზვავს დემონსტრაციებს ფინხუანჩენის აღების შემდეგ. მისი ავანგარდები ჩრდილოეთისკენაც (საიმაძი) მიდიოდნენ, ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენაც (ლიაოიანი) და ხაიჩენისაკენაც. რამდენიმე დღის შემდეგ-კი მოძრაობა ისევ შეჩერდებოდა და ბოლოს აღმოჩნდებოდა, რომ კუროკი ისევ ფინხუაჩენში ზის. ამ მრავალგვარ დივერსიების წყალობით ბევრი არევ-დარევა იყო რუსების მხარეზე: არ შეიძლებოდა რუსებსაც საპასუხო მოძრაობა არ მოეხდინათ და ამას კი ძალთა დაქსაქსვა მოჰყვებოდა ხოლმე. მარტო საიმაძი ოთხჯერ გადავიდა და გადმოვიდა იაპონელებისა და რუსების ხელში, დასასრულ ისე აირ-დაირია საქმე, რომ საჭირო შეიქნა ივლისის შუა რიცხვებში კელლერის ჯარის გაგზავნა მოტიენლინის უღელტეხილზე იმ ერთად-ერთ მიზნით, რომ გაეგო სად იმალებოდა კუროკის მთავარი ჯარი.

თითქმის იგივე ხდება დღესაც; სხვაფრივ ვერ აგვიხსნია, რად დაიხიეს იაპონელებმა სამხრეთისაკენ 7 ივნისს...

აქამდე იაპონელების მთელი მოქმედება არის გაძლიერებული დაზვერვა მტრის ძალთა განაწილებისა. ეხლა რომ უკან წავიდნენ, იაპონელების მთავარი ძალაც შესაფერად განაწილდება იმის მიხედვით, თუ რა გაიგეს ამ დაზვერვის დროს.

ამიტომ არის, რომ ამ უკან დახევის შემდეგ სულ ახლო მომავალში მოსალოდნელია უფრო ინტენსიური მოქმედება".

ფრანგულ „ეკო და პარი"-ს პეტერბურგელ კორესპონდენტის სიტყვით-კი, ეს ინტენსიური მოქმედება უკვე დაიწყო. „უკანასკნელ დღეების შეტაკებანი სერიოზული იყო. რუსის ჯარები უკან-უკან იხევენ. გენერალ ლინევიჩის ორი ფლანგი უკუგდებულია. პირველმა მისმა ფლანგმა 40 კილომეტრზე დაიხია უკან. პეტერბურგში ფიქრობენ, რომ კუროპატკინი ჯარს უყრის თავს წინად არჩეულ და საგანგებოდ გამაგრებულ პოზიციებზე, სადაც უკიდურესს წინააღმდეგობას გაუწევს მტერს. მაგრამ რუსები ძალიან შორს არიან იმ წინ-წასვლისაგან, რომელზედაც ბატიანოვი ლაპარაკობდა, და იმ იმედებისაგან, რომლის გაღვიძებასაც სცდილობდა კუროპატკინი თავის წერილში მოსკოვის მარშლის მიმართ".

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრების შესახებ

29 მაისს—1 ივნისს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთ, სხვათა შორის, უნდა განეხილათ ბანკის სხვა და სხვა დაწესებულების მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ; მაგრამ მაშინ კრებამ არ მოისურვა ამ მოხსენების მოსმენა, რადგან დაბეჭდილი არ იყო და რწმუნებულთ საჭირო მასალა წინათვე ვერ გაიცნეს. ამიტომ კრება 12 ივნისისთვის გადაიდო და გამგეობას დაევალა მასალების დაბეჭდვა და წინადვე დარიგება.

დღევანდელ კრებისთვის გამგეობას დაუბეჭდია 6 მოხსენება. ეს ექვსი მოხსენება მოთავსებულია სულ 20—22 თაბახ საწერ ქაღალდზედ. ეს ყოფილა ის აუარებელი მასალა, ის უშველებელი ფოლიანტები, რომლის დროზე დაბეჭდვა გამგეობას შეუძლებელად მიაჩნდა. მე მსურს რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ამ მოხსენებათა და ბანკის გამგეობათა, აგრეთვე ბანკის შესახებ და შესაძლებელია ისეთი სიტყვა წამომცდეს, რომ ვინმემ ბანკისთვის მავნედ ჩასთვალოს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია პატარა განმარტება.

31 მაისის კრებაზედ ბ-მა მ. მაჩაბელმა განაცხადა, რომ ჩვენი ბანკი დიდს განსაცდელსა და საშიშს მდგომარეობაშიაო. თავ. ი. ჭავჭავაძემ, თავ. მიქელაძემ და ახალმა ბანკის საქმეების მცოდნე ორატორმა ბ-ნმა ხრამელაშვილმა დიდის აპლომბით უპასუხეს ბ-ნ მაჩაბელს, რომ ამ გვარ აზრის გამოთქმა, უსაფუძვლობის გარდა, საშიშია, ეს თქვენი აზრი გაზეთებში რომ დაიბეჭდება, გავრცელდება და ბანკი ნდობას დაჰკარგავს, გირავნობის ფურცლების ფასი დაიკლებს და სხვა და სხვა უბედურება დაგვემართებაო. მე, რასაკვირველია, ამ აზრს ვერ დავეთანხმები და მგონია, რომ თუ პრესსა შეეხება იმისთანა დაწესებულებას, რომელიც ვალდებულია თავისი ანგარიში საყოველთაოდ გამოაცხადოს ხოლმე, ეს

დაწესებულება არას დაჰკარგავს, პირიქით, მოიგებს კიდეც. თუმცა კი, უნდა გამოვტყდე, შესაძლებელია თვით გამგენი ამ შემთხვევაში ბევრჯერ დაზარალდნენ. ჭეშმარიტი სიტყვა და ნათელი რომ საქმეს არ აწყენს, შეგვიძლიან ამის დასასურათებლად მაგალითები მოვიყვანოთ რუსეთის თუ სხვა ქვეყნის ბანკების ცხოვრებიდან, მაგრამ მკითხველთ ჩვენ მხოლოდ ტფილისის საკრედიტო საზოგადოების ბანკის მაგალითს გავახსენებთ. ტფილისის პრესსამ ლაპარაკი ასტეხა იმ უწესოების გამო, რომელიც ამ ბანკში სუფევდა. ბანკის გამგეობა სამსჯავროს წინ წააყენეს, დამნაშავედაც იქნა ცნობილი, მაგრამ ბანკის საქმე ამით არ წახდა, პირიქით, უმალვე დიდი წარმატება დაეტყო. მაშინ რომ არ გამოჩენილიყო ის რამდენიმე პირი, რომელთაც ბანკში არსებულ უწესოებაზე ლაპარაკი აღძრეს, პრესას რომ ხმა არ ამოეღო, ყოველი უწესოება და ბოროტება უფრო გაძლიერდებოდა და ბანკი უეჭველად დაიღუპებოდა.

რწმუნებულთ დაურიგდათ, როგორც მოგეხსენებათ, ექვსი მოხსენება. ამათში ხუთი ეკუთვნის ბანკის ორგანოებს, ერთი განსაკუთრებულს კომისიას. ამ კომისიის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაზე უფრო შინაარსიანია, თუმცა, ცოტა არ იყოს, როგორც რუსები ამბობენ: „ВЗГЛЯДЪ И НѢЧТО"-ს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ერთის წლის შრომას იმ ხუთის კაცისას, რომელნიც ამოარჩიეს იმის გამოსარკვევად, თუ რატომ რჩება ბანკს ამოდენა მამული, რა არის ამისი მიზეზი და როგორ შეიძლება ამ მიზეზის თავიდან აცილება? მაინც და მაინც კომისიის დასკვნა ასეთია: ბანკის გამგეობას არა აქვს შეგნებული ის აზრი, რომ ისეთ ცოცხალ საქმეში, როგორიც საადგილ-მამულო ბანკია, თვით გამგეობამ მეტი სიცოცხლე, უნარი და ბეჯითობა უნდა გამოიჩინოს. რაც შეეხება დამფასებელ კომისიას—იგი არსებობს მხოლოდ წესდებასა და ინსტრუქციებში ბანკში-კი კომისია არ არსებობს, არსად სჩანს მისი მოქმედება, როგორც კოლლეგიისა, ხოლო თვითოეულ დამფასებელის მოქმედებას, მოხსენების სიტყვით, ეტყობა გამოუცდელობა და უვიცობა.

სამი მოხსენება გამგეობის ორის წევრისა შეიცავს რამდენისამე მამულის აღწერას და დასკვნა ამ მოხსენებათა ავტორების ან რომელისამე კოლლეგიისა, გამგეობისა ან ზედამხედველ კომიტეტისა, არსადა სჩანს. თავ. ი. გ. ჭავჭავაძეს უნახავს 7 მამული, რომელიც ბანკს დარჩენია, და აღმოუჩენია, რომ ყველგან დამფასებელს თვით შენობის ფასიც, ადგილის ფასიცა და მამულის შემოსავალიც ყველგან ერთი-ორად და მეტადაც უჩვენებია. გარდა ამისა დამფასებელს ზოგიერთს შემთხვევაში ოთახების რიცხვი ამ თუ იმ სახლში თითქმის ერთი-ორად უჩვენებია. ხოლხოვის სახლში, მაგალითად, დამფასებელს 65 ოთახი და 20 სამზარეულო უნახავს, თავ. ჭავჭავაძეს კი—45 ოთახი და 17 სამზარეულო. აგრეთვე როსეფოვს სხვა და სხვა დროს 39 ოთახი აუშენებია და რამდენჯერმე გაუსინჯვინებია თავისი შენობა ჩვენის დამფასებლისათვის, რამდენჯერმევე სესხიც გაუტანია, ბოლოს კი გამოჩნდა თურმე, რომ 39 ოთახის მაგიერ 31 ოთახი აუშენებია და ამის მეტი არა ჰქონია-რა.

თავ. მ. გრუზინსკის ორი მოხსენება დაუმზადებია და აუწერია 16 მამული. ესეც ისევე უნუგეშო ამბავს მოგვითხრობს: დამფასებლის მიერ ნაჩვენები მამულის ყოველ დახლოვებითაც არ ეთანხმება სინამდვილეს. აქაც ოთახების რიცხვი დამფასებლისაგან ნამდვილად არ არის ნაჩვენები და ყოველთვის აღემატება იმას, რაც ნამდვილად არის და რაც თავ. გრუზინსკის უნახავს.

ზედამხედველ კომიტეტის მოხსენებაზე არას ვიტყვი, რადგან იგი მეტად უნიჭოდ არის შედგენილი და გარდა ამისა, კიდევ დამახინჯებულიც, ასე გაუგებარია, რად უნდა იყოს ის ნაწყვეტი, რომელიც იწყება სიტყვებით: Подъ вышеописанная десять (стр. 10).

დამფასებელ კომისიას თავის მხრით დაუმზადებია და დაუბეჭდია მასალები იმის გამოსარკვევად, თუ რა მიზეზია, რომ ბანკს მამულები რჩება და აურებელი ზარალი მოსდის.

ვინ უნდა ისარგებლოს ამ მასალებით ან ისარგებლა თუ არა, არ ვიცი. მე მგონია, ამ ბროშიურის აზრი იყო დაემტკიცებინა, რომ „ის არა სცდება, ვინც არას აკეთებს". შესაძლებელია, კომისიამ ეს დაამტკიცა,—სხვა კი არაფერი. როგორც უკვე ვსთქვი, თავ. ჭავჭავაძეს უნახავს და აუწერია 7 მამული, თავ. გრუზინსკის 16 მამული, სულ 23, მაგრამ ამას გარდა, როგორც სიიდან სჩანს, ბანკს ამ ორ წელიწადს ბევრად მეტი მამული დარჩენია და გამგეობის წევრს ან არ უნახავს, არ რაიმე მიზეზით საჭიროდ არ დაუნახავს მათი აღწერა. ეს მამულები სიაში აღნიშნულია №№-ით 17-დან 27-მდე და 36—39. შესაძლებელია, რომ ამ მამულების შემოწმებას და აღწერას მეტი მასალა მოეცა საგნის გამოსაკვლევად.

(შემდეგი იქნება) **ზ. თ—ძე.**

ორი გლეხის წერილი *)

ამ ბოლო დროს ბევრი იწერება პოლიტიკურ პარტიების აგრარულ პროგრამის შესახებ.

ყველა თანახმაა, რომ გლეხის მეურნეობის დაცემა და ხალხის უკიდურესი სიღარიბე შედეგია მცირე მამულიანობისა და უმიწობისა. მაგრამ, რადგან სოფლის კულტურულად ამაღლება შეუძლებელია ეკონომიურ კეთილდღეობის გაუმჯობესებლად, თავისთავად ცხადია, რომ აუცილებელია მოსპობა ხალხის სიღატაკის პირველ მიზეზისა, ესე იგი მცირე მამულიანობისა.

მაგრამ როგორ? ზოგისთვის გზა ამ მიზნის განხორციელებისა მარტივი და ცხადია—ეს არის საკუთრების მოსპობა და მიწის გადაცემა მშრომელ ხალხზე. ამ აზრის აღმსარებელთაგან ზოგი მიწის ნაციონალიზაციის მოხრეა, ზოგი სოციალიზაციისა.

მისთვის კი, რომელთაც არც შამფური უნდათ დასწვან და არც მწვადი, გლეხების მცირე მამულიანობის მოსპობა ისე მარტივი და ცხადი არ არის, და ამიტომაც ათასგვარ პროექტებს სთხზავენ, თუმცა დამაკმაყოფილებელი შედეგი არ მოსდევს ამ პროექტების თხზვას.

არც საკვირველია! თუ შეუერთებელის შეერთებას და ერთად მოუთავსებელის ერთად მოთავსებას ვეცდებით, დამაკმაყოფილებელ შედეგს თავის დღეში ვერ მივიღებთ...

ვსთქვათ, რუსეთში იმდენი თავისუფალი სახაზინო ადგილებია, რომ შესაძლებელია მცირე მამულიან გლეხების სავსებით დაკმაყოფილება კერძო საკუთრების ხელშეუხებლად. რუსეთში დადგება ოქროს საუკუნე გლეხებისათვის: ყოველი გლეხი დაკმაყოფილებულია მიწით, გაძლიერებულია და მძლავრი და კმაყოფილი სცხოვრობს.

მსხვილი მემამულენი? ამათი მდგომარეობა როგორიღა იქნება? ესენიც კეთილდღეობაში იქნებიან? ცხადია, რომ არა. მართლაც, თუ გლეხს საკმაო მიწა აქვს, მემამულესთან აღარ მივა და მოჯამაგირედ აღარ დაუდგება, თავის საკუთარ მიწაზე მუშაობა ურჩევნია. რაღა ფასი ექნება კერძო საადგილ-მამულო საკუთრებას, თუ თავისუფალი მუშა ხელი არ იქნება? განა სულ ერთი არ არის ჩემთვის, წამართმევენ საკუთრებას, თუ სულ დაუკარგავენ ფასს და თან საადგილმამულო გადასახადსაც დამაკისრებენ?

არა, ჩვენი გლეხკაცი ვერ ირწმუნებენ სხვა და სხვა უწყებათა და კომისიების განზრახვათა გულწრფელობას—გვსურს დავამყაროთ კეთილდღეობა გლეხისა და მემამულისა ერთად. მწარე გამოცდილებამ საკმაოდ დაარწმუნა გლეხები, რომ ეს შეუძლებელია. ცხადია, ეხლანდელი კომისიაც იმდენად გამოიჩენს ზრუნვას გლეხობაზე, რომ გლეხს შეეძლოს მხოლოდ არსებობა და სახელმწიფო გადასახადების გადება, ურომლოდაც მთავრობას არას გზით არ შეუძლია გაძლება.

მაგრამ ვთქვათ, რომ კომისიამ გამონახა საშუალება გლეხებს რიგიანად მოწყობისა (თუმცა ეს ძნელი წარმოსადგენია, რადგან კომისიაში თუ სულ არა, უპირატესად მაინც არისტოკრატები და მემამულენი იქნებიან. და ვინ არის ისეთი, რომ თვითონვე გაითხაროს საფლავი?). ამ შემთხვევაში მიწა შერჩება მხოლოდ უზრუნველ ყოფილ ხალხს—დიდ პენსიიან მოხელეებსა და კაპიტალისტებს, რომელთათვის მიწა მეტი ბარგია; დიდი ნაწილი კი იმ პირებისა, რომელნიც დღეს მხოლოდ მამულის შემოსავლით სცხოვრობენ, ვერ შეირჩენს მიწას და აუცილებლად გაკოტრდება. ასეთ უსამართლობას ვერც სახელმწიფო ჩაიდენს, ვერც ჩვენ, გლეხებს, გვსურს და მემამულენიც ეცდებიან თავისი გაიტანონ.

ამ გვარად ჩვენთვის, გლეხებისათვის, სავსებით ცხადია, რომ აგრარულ საკითხის გადასაწყვეტად მხოლოდ ერთი გზა არსებობს: კერძო საადგილ-მამულო საკუთრება უნდა მოისპოს; სახელმწიფომ უნდა შეისყიდოს კერძო მამულები; მიწა სახელმწიფოსია და აძლევს მოსახმარებლად იმას, ვისაც საკუთარის ხელით სურს მიწის დამუშავება. გამოყიდვის ხარჯების დასაფარავად დასამუშავებელ მიწას უნდა დაედოს გადასახადი მოსავლიანობის მიხედვით.

კერძო საკუთრების მოსპობა! ბევრს ერთობ ეხამუშება ეს სიტყვები: მაშ მემამულენი უნდა გამოვრეკოთ თავიანთ სახლებიდანო, ჰკითხულობენ აღშფოთებით. რა საჭიროა ასეთი უსამართლობა! ჩვენ აქ ვლაპარაკობთ მიწის საკუთრებაზე. შენობები, საზოგადოთ სახლკარი და ეზო, რომლის სივრცე კანონით უნდა იქნეს გადაწყვეტილი, ხელუხლებელი რჩება. გარდა ამისა კანონმა ნება უნდა მისცეს ყოველ მემამულეს ეზოსთან დაიტოვოს იმდენი მიწა, რამდენის დამუშავებაც შეეძლება ერთ გლეხს, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ სახელმწიფოს აძლიოს იმდენი გადასახადი, რამდენსაც გლეხი გადაიხდის...

გლეხები ბავშვები არ არიან და დაპირებით ვერ მოტყუვდებიან. დაპირება ადვილია, მაგრამ ვინ არის ვალდებული ირწმუნოს ეს დაპირება. დროა, სერიოზულად განხილულ იქნეს მდგომარეობა და მიეცეს ხალხს ის, რაზედაც სრული უფლება აქვს".

---

*) „ნ. გ." № 116.

ახალი ამბავი

◆ სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი **ოფიციალური** ცნობა ერევნის ამბების შესახებ: „რადგან გაზეთებში მრავლად იბეჭდება ტენდენციოზური დეპეშები ერევნიდან, ზოგი ხელ-მოწერილი, ზოგიც მოუწერავი, კავკასიის ნამესტნიკმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა დეპეშით აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ, როგორც გუბერნატორების და გენერლების შეედლოვისა და ალიხანოვის ცნობებიდან სჩანს, სისტემატიური მკვლელობები, ძარცვა-გლეჯა, ცეცხლის წაკიდება ერევნის გუბერნიაში ამჟამად აღარ არის, აქა-იქ მხოლოდ თითო-ოროლა ბოროტ-მოქმედებაა. უწესოებათა უმთავრესი დამნაშავენი შეპყრობილ იქნენ, დაშავებულ და დაზარალებულთ შემწეობას უჩენენ ფულით, მკურნალობით და სურსათით. ხალხი წყნარდება და ძველ ადგილებზე ბრუნდება. ზომებია მიღებული ვაჭრობის აღსადგენად, ქონების მოსაძებნად და პატრონთათვის დასაბრუნებლად. ჯარს ჯერ-ჯერობით არ ვიბარებთ უკან მხოლოდ იმიტომ, რომ სოფლად ხალხი ჯერ კიდევ აღელვებულია".

◆ „კავ."-ში დაბეჭდილია შემდეგი **ოფიციალური დეპეშა** ერევნის გუბერნიაში გაგზავნილ გენერლის ალიხანოვისა: „ტიფ. ლისტ."-ში მოთავსებული წერილები ნახიჩევანისა და შარურის მაზრების ამბების შესახებ იმდენად ეწინააღმდეგება სიმართლეს, რომ განზრახ გამოგონილ სიცრუეს წარმოადგენენ, რომელსაც აზრად უმეცარ ხალხის აშფოთება, მოძრაობისა და მღელვარების გავრცელება და უწესოების წაქეზება აქვს".

◆ „კუტაის. გუბ. ვედ."-ში დაბეჭდილია **ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის შემდეგი** ბრძანება: „ქუთ. ექვსკლასიან სასწავლებლის ინსპექტორმა მაუწყა, რომ ბოქაულის ტერ-ანტონოვისა და უბნის ზედამხედველის ბახტაძის მიერ მიღებულ ზომების წყალობით, უწესოებანი სასწავლებლის წინ დროზე მოისპო და ბრბო, რომელსაც აგიტატორები აქეზებდნენ, ვეღარ მივიდა სასწავლებლის კედლებთან. თავმივე ჩაქრობილ იქნა მავნე გავლენა აგიტატორებისა მოსწავლეებზე (ამათი რიცხვი 300—400 კაცამდე აღიოდა) და ეგზამენები სასწავლებელში წესიერად დამთავრდა. ვუცხადებ მადლობას ბოქაულს ტერ-ანტონოვს და უბნის ზედამხედველს ბახტაძეს".

◆ გუბერნატორმა აცნობა მაზრის უფროსებს, რომ ამ ბოლო დროს **სოფლელნი ხშირად მიჰმართავენ ხოლმე საკუთარ სამართალს** ამა თუ იმ კაცის დასასჯელად. ასეთ შემთხვევაში ხალხი ისე ღელდება, რომ ხშირად ბრალდებულს სიკვდილით სჯის. მიზეზი ამისა ის არის, რომ მომრიგებელი შუამავალნი შორს დგანან ხალხზე, არ ესწრებიან მათ კრებებს და არ უმარტავენ, რომ ქურდობისა და სხვა ამგვარ დანაშაულობისათვის საკმაოა დამნაშავის საზოგადოებიდან დათხოვნა. გუბერნატორი სწერს სამაზრო ადმინისტრაციას, ყური ათხოვოს ამ მხრივ ხალხის მოძრაობას და ბრალდებულნი ასე სასტიკად არ დაისჯევინოს ხალხს.

◆ როგორც გავიგეთ, **საექსარხოსო ეპისკოპოსებს** უარი განუცხადებიათ დაესწრნენ არქიმანდრიტის ნიკანდრის ეპისკოპოსად კურთხევას.

◆ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე **გენერალი ი. დ. მალამა** რუსეთიდან დაბრუნდება ამ თვის დამლევს.

◆ დღეს სადამოს ბაქო-ბათუმის მატარებლით პეტერბურგიდან **ჩამოვა გენერალი შირინკინი.**

◆ ნამდვილად გავიგეთ, რომ **საქართველოს ეგზარხოსი უწ. სინოდს გაუწვევია პეტერბურგს.** ეგზარხოსი ტფილისიდან მიემგზავრება მომავალ კვირას.

◆ როგორც გადმოგვცეს, ტფილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი რექტორი **არქიმანდრიტი ნიკანდრი**, სიჩქარით აბარებს 15 ივნისიდან ყველა საქმეებს სემინარიის მმართველობას, მაგრამ ვინაიდან სემინარიის მმართველობის მდივანი აქ არ არის და არც ზოგიერთი წევრიბი მმართველობისა, ამისათვის ისინი გამოწვეულ იქმნენ ტელეგრაფით, რომ დაესწრნენ საქმეების ჩაბარებას. როგორც ეტყობა, რექტორი პეტერბურგში გაუწვევიათ.

◆ 19 ივნისისათვის დანიშნული იყო კურთხევა ბაქოს ეპისკოპოსად დანიშნულის **არქიმანდრიტ ნიკანდრისა.** ნიკანდრის კურთხევა ხელ-ახლა გადაიდვა.

◆ **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების** გამგეობა ბ-ნთ ფ. კორიძეს, გ. ნატრაძეს, ზ. ფალიაშვილს და ზ. ჩხიკვაძეს ჰგზავნის საქართველოს სხვა და სხვა მხარეს სიმღერა გალობის და სამუსიკო საკრავების შესაკრებად და აგრეთვე ახალ წევრების შესაძენად.

◆ 11 ივნისს ქუთაისის **გენერალ-გუბერნატორი** თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი ბათუმელ საპატიო პირებსა და მაჰმადიანებთან ერთად, როგორც „ჩერ. ვესტ." გადმოგვცემს, სოფ. აჭარის-წყალში იყო, სადაც პურ-მარილით დახვდა აჭარელთა დეპუტაცია. დეპუტაციას უთხოვნია ამას წინად მოკლულის სეიტის მკვლელის აღმოჩენა, მაჰმადიან მცხოვრებთა საჭიროების დაკმაყოფილება და მაჰმადიანთა ძარცვა-გლეჯის მოსპობა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგი ბაქოს მხარეს ლამის სულ წყალმა წაიღოს. ევლახსა და ძინგიჩურს შუა, მე-511, 514, 515, 522—323 ვერსზე, 14 ივნისს **წყალმა სულ მთლად წალეკა ლიანდაგი.** თვითონ სადგური ევლახი წყალშია, ასე რომ 14 ივნისიდან შეჩერდა მიმოსვლა და სამგზავრო მატარებლები სხვა და სხვა სადგურებში დგანან. სად. ალსტაფაში მგზავრებმა ალიაქოთი ასტეხეს, ზოგი იძახდა განჯაში წაგვიყვანეთო, ზოგი კიდევ—ტფილისშიო. ყაისის გზაზეც, სადგურ სახაინთან, 14 ივნისს მდ. ლიარ-ბარზე ხიდი წახდა. რკინის გზის გამგეობას იმედი აქვს, რომ 16 ივნისისათვის გაუშვებს სამგზავრო მატარებლებს. ყოველივე ოპერაცია ბაქოსა და ტფილისს შუა შეწყდა.

◆ **ბათუმში,** იქაურ გაზეთის სიტყვით, 12 ივნისს, ვიღაც კაცს მოუკლავს ლევან აფხაზოვი. იმავე დღეს შეიარაღებული კაცები შესვარდნილან ორგან: ლიძ. ჩხეიძის მაღაზიაში და მანთაშევის ქარხნის საპასპორტო ნაწილის გამგის სახლში. პირველიდან გაუტაცნიათ 210 მანეთი, მეორედან—81 მანეთი.

◆ მთავრობას აზრადა ჰქონია თურმე, რომ დონის ოლქიდან **ამიერ-კავკასიაში გადმოესახლებინა** 1200 სული კაცი. მაგრამ ახლა, როგორც „რაზს."-ი გადმოგვცემს, ეს საქმე შეჩერებია, რადგან ნამესტნიკს უცნობებია, ეხლანდელი დრო ხელს არ უწყობს გადმოსახლებასო.

◆ ეს რამდენიმე ხანია, რაც **ბაღის პატრონთა და მოიჯარადრეთა** შორის დიდი კრებები იმართება. მოიჯარადრენი თხოულობენ, დააკლონ იჯარა, რომ შესძლონ ადამიანური ცხოვრება და მუშების მდგომარეობაც გაუმჯობესონ. მემამულენი წინააღმდეგნი არიან და მეცადინეობენ ძველი პირობები დარჩეს. მხოლოდ ერთი მემამულე დიდუბეში გ. გ. იაკოფოვი დასთანხმდა ყოველ პირობას და ნახევარი იჯარისა დაუკლო. როგორც გავიგეთ, იაკოფოვის საქციელი არ ეჭაშნიკათ თურმე დანარჩენ ბაღის პატრონთ.

◆ სავსებით დასრულდა **ნავთის მილის გაყვანა** ბაქოდან ბათუმამდე. სიგრძე მილისა 841 ვერსია. დაჯდა მილის გაყვანა 8 მილიონ მანეთად.

◆ დღეს, 16 ივნისს, **ქალაქის საბჭოს** განსახილველად აქვს 45 საქმემდე.

ფელეტონი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაცია

(სამი სათათბირო კრების მოკლე ანგარიში)

ჩვენის სკოლის საპედაგოგიო საბჭოს მიერ შედგენილმა და „ივერიაში" დაბეჭდილმა მოხსენებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ამ მოხსენებას ზოგმა ისე შეხედა, როგორც ძირითად რეფორმების პროექტს ანუ სრულიად ახალი სკოლის გეგმას,—და რა თქმა უნდა, შიგ ბევრი ისეთი რამ აღმოაჩინა, რაც ასეთ სკოლის იდეალს ვერ აკმაყოფილებს. თვით საპედაგოგიო საბჭომ-კი, კერძო სათათბირო კრებებზე, რომელიც საამისოდ გამართა, გადაჭრით გამოუცხადა საზოგადოებას, რომ ამ მოხსენებაში მას აზრადაც არ ჰქონია სკოლის ძირითადი რეფორმა ანუ სრულიად ახალ სკოლის შექმნა. ახალ სკოლის გეგმას იგი ცალკე წარმოადგენს. ამ მოხსენების აზრი კი მხოლოდ ისაა, რომ სექტემბრისათვის იმდენად გააუმჯობესოს სათავად-აზნაურო სკოლის სასწავლო და საორგანიზაციო ნაწილი, რომ, თუ ვინიცობაა მთელ რუსეთში დღევანდელი რეჟიმი არსებითად არ შეიცვალა, ჩვენს მასწავლებლებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ მოწაფეებთან მეცადინეობა განაგრძონ.

ამას გარდა, საზოგადოებამ არც ის გარემოება უნდა დაივიწყოს, რომ ყოვლად-შეუძლებელია სკოლის სასწავლო ნაწილში ძირითადი ცვლილებანი ერთბაშად შეტანილ იქნას იქ, სადაც მოწაფეებს 3, 4. 5, 6 და 7 წლის განმავლობაში ამა თუ იმ საგნის ნახევარი და სამი-მესამედი განსაზღვრულის პროგრამით, განსაზღვრულის სახელმძღვანელოებითა და უცხო ენის შეწყობით უსწავლიათ. მით უმეტეს მოუხერხებელია ეს სექტემბრიდან, რადგან ჯერჯერობით არც რადიკალურ პროგრამების შესაფერი სახელმძღვანელოები მოგვეპოვება და არც მასწავლებელნი და ზემო კლასების მოწაფენი გვყავს ქართულ ენაში იმდენად გავარჯიშებულნი, რომ სექტემბრიდან ყველა საგნის ქართულად შესწავლა შესაძლებელი იყოს.

ცხადია, მაშასადამე, რომ, თუნდ პოლიტიკური რეჟიმიც შეიცვალოს, ჩვენს სკოლაში ერთბაშად რადიკალურ ცვლილებათა შეტანა მაინც მოუხერხებელი იქნება. სწორედ ამიტომ, როცა აღნიშნულ მოხსენებას ადგენდა, საპედაგოგიო საბჭოს აზრად ჰქონდა მხოლოდ კერძო ცვლილებათა მოხდენა, ე. ი. სკოლის დროებითი შეკეთება და არა მისი ძირითადი გადაკეთება.

რაში მდგომარეობს ეს „დროებითი შეკეთება"?

დღემდე ჩვენი სკოლა წარმოადგენდა კერძო პანსიონს, რომლის ყოველი კლასი შეფარდებული იყო მთავრობის გიმნაზიათა კლასებთან, ე. ი. ჩვენის სკოლის ყოველი კლასი მოვალე იყო მოწაფე გიმნაზიის სათანადო ზემო კლასისათვის მოემზადებინა. ამის წყალობით ჩვენი მასწავლებელნი და მოწაფენი იმავე საგნებით, პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით იყვნენ შეზღუდულნი, რომლებიც მთავრობის გიმნაზიებშია.

ეს მონური მიყოლა გიმნაზიების პროგრამისა იმ ზომამდე აღწევდა, რომ თითქმის ყოველ საგნის გაკვეთილთა რიცხვიც-კი სავალდებულო იყო, ჩვენს სკოლასა და გიმნაზიაში ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო; როცა გაკვეთილების სიას ადგენდა, ჩვენი სკოლის საპედაგოგიო საბჭოს ნება არა ჰქონდა მთავრობის გიმნაზიათა სიას დაშორებოდა.

ერთის სიტყვით, ყველგან და ყველაფერში მთავრობის გიმნაზიათა მონობა,—აი დამახასიათებელი თვისება ჩვენის სკოლისა.

მეორე მხრით, ჩვენს სკოლას, მის დამაარსებელთა აზრით, ნაციონალური ხასიათიც უნდა ჰქონოდა, რისთვისაც აქ დედა-ენას, სამშობლო გეოგრაფიას, ისტორიასა და ლიტერატურას საკმაოდ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. მოწაფეები ვალდებულნი იყვნენ საგიმნაზიო საგნებთან ერთად ეს ახალი საგნებიც ესწავლათ და თავიანთ თავისთვისაც ისე ეცქირათ, როგორც ნაციონალურ გიმნაზიის მოსწავლეთათვის. იგინი, მართლაც ასე იქცეოდნენ. მაგრამ საქმით კი სულ სხვა გამოდიოდა. ქართულ ანდაზის თანახმად, ორი კურდღლის დევნაში ერთსაც ვეღარ იჭერდნენ რიგიანად, რადგან სკოლის ორ-პირი ხასიათი ერთის მხრით ქართულ საგნების შესწავლას აფერხებდა და მეორეს მხრით იმ ენასაც, რომელზედაც, არსებულ წესის ძალით, ყველა დანარჩენ საგნების სწავლება სწარმოებდა, ე. ი. რუსულ ენისას, და მასთან ერთად აფერხებდა საერთოდ ყველა საგნების ჯეროვნად შესწავლას.

საბჭოს აზრით, ამგვარი მდგომარეობა ანორმალურია და, რამდენადაც შესაძლოა, ეხლავე უნდა შეიცვალოს. საჭიროა ჩვენს სკოლას დაეკარგოს გიმნაზიებისათვის მოსამზადებელ პანსიონის ხასიათი და სრული უფლება მიეცეს მთელი ის სასწავლო მასალა, რომელიც საშუალო სწავლის დასამთავრებლად და მაღალ სასწავლებლებში შესასვლელად არის საჭირო, ისე გაანაწილოს, როგორც მისი საპედაგოგიო საბჭო უმჯობესად სცნობს და მოახერხებს და არა ისე, როგორც ეს დღემდე იყო, სამინისტროს პროგრამების თანახმად. ამის უფლება ჩვენს სკოლას აქვს, რადგან იგი კერძო სასწავლებელია; და კერძო სასწავლებელთა წესდების ძალით-კი, მათ ნება აქვთ, ოღონდ საღმრთო სჯული, რუსული ენა, რუსეთის ისტორია და გეოგრაფია ასწავლონ, და სხვა, რომელი საგნებიც უნდათ, სასკოლო პროგრამაში შეიტანონ; მხოლოდ საჭიროა ფორმალურად მთავრობამ ამ საგნების პროგრამები დაამტკიცოს.

რა თქმა უნდა, თუ ეს ცვლილება მოხდა, ჩვენს სკოლას მოსამზადებელი ხასიათი დაეკარგება, მაგრამ არა სრულიად, არამედ ნახევრად. იგი აღარ მოამზადებს მოწაფეებს გიმნაზიის ყოველ კლასისათვის, რის გამო მოწაფე იძულებული იქნება კურსის დამთავრებამდე ჩვენს სკოლაში დარჩეს, მაგრამ საერთო ჯამი ცოდნისა, რომელსაც მოწაფე ჩვენს სკოლაში მიიღებს, მის საზოგადო განვითარებასთან ერთად, სრულიად საკმაო იქნება კურსის დამთავრების შემდეგ ჩვენმა მოწაფემ უნივერსიტეტში შესასვლელად მოწმობის ეგზამენი დაიჭიროს ან, თუ ეს არა სურს, მაღალ სასწავლებელში ლექციების მოსასმენად მაინც უკეთ მომზადებული წავიდეს.

მაშასადამე, ჩვენი სკოლა, მეორე მხრით, მოსამზადებელი იქნება უნივერსიტეტისთვის. მართალია, მას უფლება არ ექნება, მოწაფეები პირდაპირ უნივერსიტეტში გზავნოს, მაგრამ ეს უფლება არც დღეს აქვს. ჩვენი მოწაფეები, სანამ უნივერსიტეტში წავიდოდნენ, ვალდებულნი არიან მთავრობის გიმნაზიებში „მოწიფეობის" ეგზამენი დაიჭირონ. მაშასადამე, ამ მხრით ჩვენი მოხსენება ახალს მდგომარეობას არ აუარესებს.

თუ სკოლის დამფუძნებელი „საზოგადოება", თავად-აზნაურობასთან ერთად, შეეცდება ამნაირად შეცვლილს ჩვენს სკოლას უფლებებიც მოუპოვოს, ამას რაღა აჯობებს. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, ვითომ მარტო უფლებების მოპოვებამ, თუ აღნიშნულ ცვლილებებიც არ მოხდა, ჩვენს სკოლას რაიმე სარგებლობა მოუტანოს. უფლებანი გიმნაზიებსაც ჰქონდათ, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, მარტო ამ გარემოებამ იგინი მოწაფეთა არეულობისაგან ვერ დაიფარა, ესევე უნდა ვიფიქროთ ჩვენის სკოლის შესახებაც.

ასეთია ჩვენის მოხსენების ძირითადი მუხლი. გადავიდეთ ახლა სხვა მუხლებზე.

დიდს კამათს იწვევს ჩვენის მოხსენების პირველ ნაწილის მე-2 მუხლი, რომელიც ასე

✦ როგორც ერევნიდან გვატყობინებენ, 14 ივნისს, ღამე, სროლის ხმა ისმოდა თურმე.

✦ ტფილისის სახაზინო პალატას გუბერნატორისთვის უთხოვნია განკარგულება მოახდინოს, რომ, უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრის თანახმად, მომავალ წლის 1 იანვრიდან მოხელე პირთ პენსიებისთვის უკვე დაწესებულის გარდა კიდევ გამოერიცხოთ დამატებითი გადასახადი 1-დან 3 პროცენტამდე იმის დაგვარად, ვის რამდენი ჯამაგირი ეძლევა.

✦ როგორც ვსწერდით, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრებამ სხვა საქმეებს შორის მოისმინა სადაო საქმე ქალაქის იურისკონსულტი თანაშემწეს გ. ქანანოვთან. ეს უკანასკნელი, როგორც ბანკის ანგარიშშია ნათქვამი, ყოველსავე ღონეს ხმარობს, კანონიერს და სამართლიანს მოთხოვნილებას ბანკის გამგეობისას გვერდს აუხვიოს. ამ საქმის შესახებ გაზეთებში აღნიშნულ ცნობისათვის ტფ. ქალაქის გამგეობას ყურადღება მიუქცევია. 14 ივნისს ქალაქის გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს პ-ნს ქანანოვს, 7 დღის განმავლობაში მოხსენება წარუდგინოს გამგეობას ამ საქმის შესახებ და თავი იმართლოს. ტფ. ქალაქის თვითმმართველობის მოხელეთა კორპორაციამაც მიაქცია ამ საქმეს ყურადღება და დაადგინა, პასუხი მოსთხოვოს ქანანოვს.

✦ თელავი. 4 ივნისს საკრებულო დარბაზში ნახიჩევანელების სასარგებლოდ გაიმართა ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს „რაც გინახავს ველარ ნახავ" და „ბნელ ოთახში". ასე მგონია ამაზე მეტი პიესები ქართულ ენაზე აღარ იყოს, რომ წამდაუწუმ ამას იმეორებენ. მონაწილეობას იღებდნენ სულ ახალგაზრდა სცენის მოყვარენი, ბევრი პირველად გამოვიდა. წარმოდგენას არა უშლიდა რა. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

✦ დუშეთის მაზრის სოფ. ჟინვალის მახლობლად მდ. არაგვის ხის ხიდი სიძველისა გამო დაუკეტნიათ ეტლოთა და ცხენით მიმოსვლელთათვის. აზრად აქვთ ახალი რკინის ხიდი გაიყვანონ. ტფილისის საგუბერნიო გამგეობის სამშენებლო განყოფილება ამისთვის საერთო თანხიდან თხოულობს 8.500 მანეთს.

✦ ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთ გუშინ შეკრიბეს კრება ხმ. ევანგულოვის შესახებ საქმის განსახილველად. კრებამ დაადგინა: „კრება დაკმაყოფილებულია, რადგან ხმ. ევანგულოვმა ბოდიში მოიხადა და უკანვე წაიღო თავისი სიტყვები. ხოლო რაც შეეხება საიურისკონსულტო ნაწილის რეორგანიზაციის საქმეს და ფუტკლაძის განცხადებას ხმოსან ბადასარჯოვისაგან ცილის დაწამების შესახებ, დაევალოს მსახურთა კომისიას შეისწავლოს ორივე ეს საქმე და თავისი მოხსენება ახლო მომავალში განსახილველად წარუდგინოს მსახურთა კრებას".

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ 14 ივნისს დაადგინა, ის 17063 მან., რომელიც პირობა ხარფუხის ქალაქის სკოლის სადგომის აშენებლად, გადაიდოს მიმდინარე ხარჯებიდან.

✦ სად. კარაკლისი. 13 ივნისს, საღამოს 10 საათზედ, მე-139 ვერ., სალხო მატარებელმა გასრისა ლიანდაგის დარაჯი ფილ სარქისოვი.

სად. შამხორი. 13 ივნისს, საღამოს 8 ს., ორი ტყვიით მოკლეს აბ-კული-მამედ-ბაგიროღლი.

✦ სად. ალიატი. 12 ივნისს, ღამის 2 საათზედ, მე-700 ვერ., ლიანდაგის დარაჯი სადიხ-ტაგიოღლი გამოვიდა თავის სადგურიდან მატარებლის შესახვედრად. სახლში დაეტოვებინა მძინარე ცოლი. ცოლს გამოეღვიძებოდა და როგორღაც გადესხა ანთებული ლამპა. და ცეცხლი წაეკიდებოდა, როდესაც დარაჯი დაბრუნდა და ამ მდგომარეობაში ნახა ცოლი, ნაბადი დახურა და ცეცხლი გააქრო, მაგრამ უბედური ქალი ერთის საათის შემდეგ გარდაიცვალა.

—

შეცდომის გასწორება. წინადელ ნომერში (№ 2844) შეცდომით მოხსენებული გვქონდა, რომ ორმოცდა თხუთმეტ ქართველ მღვდლის წერილი გაზეთ „რუს"-ში იყო მოთავსებული. ეს წერილი მოთავსებულია „რაზვეტის" და არა „რუსის" მე-90 ნომერში. „რუს"-ში მხოლოდ პატარა კორესპონდენციაა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ყარსი, 6 ივნისი. *) დიდად აგვაღელვა იმ ამბავმა, რომელიც 31 მაისს ტფილისში შეემთხვა ქართველ სამღვდელოებას. გვაოცებს და გვაკვირვებს ასეთი განსაცვიფრებელი ამბავი. ვუცხადებთ ჩვენ ზიზღს იმათ, ვინც ეს ძალმომრეობა ჩაიდინა. იმედი გვაქვს, რომ დამნაშავენი, ვინც უნდა იყვნენ, შესაფერად დაისჯებიან. თანაგრძნობას ვუცხადებთ მღვდლებს, რომელნიც ჰგრძნობენ დიდ ისტორიულ მოვლენას და მრევლთან ერთად მოქმედებენ. ეს გარემოება თავმდებია ჩვენის ცხოვრების განახლებისა.

მღვ. ზაქარია დუკაშვილი, ირაკლი ბაქრაძე, ვასილ წერეთელი, არჩილ ნინიაშვილი, ბაგრატ მიქელაძე, გიორგი ტაბიშვილი, იაკობ კორძახია, ვასილ კელენჯერიძე, სიმონ ბეჟანიშვილი, მიხეილ მინდელი, გიორგი წერეთელი, რაჟდენ ხურცუნაშვილი, მაქსიმ ჩიხავა, სიმონ ურუშაძე, პეტრე გვარამაძე, იაკობ აბაშვილი, არჩილ დევდარიანი, კონსტ. ჯანდიერი, ალექ. ჯანთარიძე, სპირ. ხვედელიანი, სიმონ თათარაძე, თეიმურაზ ტასაია, სოლ. უგლებაშვილი, დიმ. ბრაგვაძე, ეპიფანე უნაველიშვილი და მიხეილ ცუცურია.

რევოლიუცია ჰუნგრეთში

9 ივნისის დეპეშებიდან ვიცით, რომ ჰუნგრეთის პალატამ აიძულა პირველი მინისტრი ბარონი ფეიერვარი სამსახურიდან გადამდგარიყო: ჯერ უნდობლობა გამოუცხადეს სამინისტროს და შემდეგ, როცა ფეიერვარის უნდოდა წაეკითხა მეფის ბრძანება—პარლამენტის სხდომები ორ სექტემბრამდე უნდა გადაიდოსო, პალატამ ერთხმად მიიღო ბარონ ბანფის წინადადება: უკანონო და კონსტიტუციის წინააღმდეგია ეს რესკრიპტი, უარს ვამბობთ ზოგიერთ საერთო ხარჯში მონაწილეობის მიღებაზე და წინადადებას ვაძლევთ მუნიციპალიტეტებს, ნუ გაიღებენ იმ ხარჯებს, რომელიც ჰუნგრეთის მთავრობისაგან არ იქნება მოწონებული, და ნუ მისცემენ სალდათებს პალატის ნება-დაურთველად.

ეს არის პირველი აქტი აშკარა ბრძოლისა ჰუნგრეთის ხალხსა და მეფეს შორის, რომელიც დაჟინებით უარს ეუბნება ერს კანონიერ მოთხოვნებზე; შემდეგ, როგორც სჩანს, რჩეობს რევოლიუციის გზაზე დააყენოს ჰუნგრეთი, თუმცა შვეცია-ნორვეგიის მაგალითი ყველას თვალწინა აქვს. შესაძლებელია, ჰუნგრეთი არ დაადგეს ნორვეგიის გზას, მაგრამ თუ დაადგა, ჰუნგრეთის მეფე ვერ შესძლებს ჰუნგრეთის ხალხთან ბრძოლაში ჩაითრიოს შინაურ განხეთქილებით დაუძლურებული ავსტრია, მით უფრო ვერ შესძლებს, რომ ჰუნგრეთს ჯარიც ძლიერი ჰყავს და ფულიც საკმაო აქვს.

ჰუნგრეთის გაზეთებიდან სჩანს, რომ იქ გადაწყვეტილი აქვთ, ბოლომდე ებრძოლონ მოხუც მეფის ფრანც-იოსების ჯიუტობას. ასეთ გზას ადგიან არა მარტო პოლიტიკური მოღვაწენი, არამედ თვითონ ხალხიც, რომელიც ამ შემთხვევაში იშვიათის ერთსულოვნობით აძლევს მხარს თავის წარმომადგენლებს.

რა ხასიათიც უნდა მიიღოს ეხლა დაწყებულმა სარევოლიუციო მოძრაობამ ჰუნგრეთში, ერთი კი ეჭვს გარეშეა: ფრანც-იოსები იძულებული იქნება შეიგნოს ჭეშმარიტება გამბეტას ცნობილ სიტყვებისა, რომელიც ანალოგიურ შემთხვევაში იყო ნათქვამი: „როცა ერი ამოიღებს თავის ხელმწიფურ ხმას, მმართველები ან უნდა დამორჩილდნენ ან გადადგნენ."

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

14 ივნისს რწმუნებულთა კრებამ გაიცნო საგანგებო კომისიის მოხსენება დარჩენილ მამულების შესახებ და ზედამხედველ კომიტეტისა, დამფასებელ კომისიისა და გამგეობის მოხსენებანი ამავე საგნის შესახებ. განსაკუთრებულ კომისიას მრავალი ცნობა მოჰყავს იმის დასამტკიცებლად, რომ ბანკის დამფასებელნი წესიერად ვერ იქცევიან, გამგეობაც კანცელარიულ-კაბინეტურ მოქმედებას არ შორდება და ჯეროვანს კონტროლს არ უწევს დამფასებელ კომისიის მოქმედებას. კომისია ასე ათავებს: კომისია სცნობს რომ არსებული წეს-რიგი მამულების დაფასებისა და სესხის გაცემისა უვარგისი და უკანონოც არის. საჭიროა გამგეობამ მამულების დაგირავების დროს მეტი მარჯვება და მეტი გამჭრიახობა გამოიჩინოს და ამასთან ჯეროვანი კონტროლი გაუწიოს დამფასებელ კომისიის წევრებს და შეამოწმოს კიდეც მათი ნამოქმედარი. როდესაც მამული ბანკში გირავდება, აუცილებლად ერთ-ერთი წევრი გამგეობისა უნდა წავიდეს მამულის დასათვალიერებლადაო.

შემდეგ ამავე მამულების შესახებ წაკითხულ იქმნა გამგეობის თავმჯდომარის თავ. ი. გ. ჭავჭავაძის მოხსენება. ამ მოხსენებაში არ არის განმარტებული ის მიზეზები, რა მიზეზითაც დარჩა ბანკს 1,200,000 მანეთის მამული. მოყვანილია ისეთი მაგალითები, რომელიც უფრო ამტკიცებს განსაკუთრებულ კომისიის აზრს ბანკში გამეფებულ კანცელარიზმის შესახებ. სხვა მოხსენებათა განხილვა კრებამ აღარ მოისურვა, რადგან დაბეჭდილები დაგვირიგდა და ვიცით შინაარსიო.

თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილმა სთქვა, გამგეობამ უნდა გაგვაგებინოს, რა მიაჩნია ბანკს ამ მამულის დარჩენის მიზეზადაო. დიდხანს ილაპარაკა თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ საგანგებო კომისიის მოხსენების შესახებ. სხვათა შორის სთქვა, რომ საგანგებო კომისიამ ჯეროვნად ვერ შეასრულა მინდობილი საქმე და ნამდვილი მიზეზები ვერ გვიჩვენა. კომისია ბრალს გამგეობას სდებს და ამბობს, რომ გამგეობა კონტროლს არ უწევს დამფასებელ კომისიასაო. დამფასებელი კომისია განსაკუთრებული ორგანოა ბანკისა. მისი წევრები კრების მიერ არიან არჩეულნი და გამგეობას საფუძველი არა აქვს ნდობით არ ეპყრობოდეს კომისიას. წესდებით, დაფასებულ მამულის ზარალი მთლად იმ პირს ედება, ვინც მამული დააფასაო. რამდენიმე მაგალითის შემდეგ სხვა ბანკების ცხოვრებიდან თავ. ჭავჭავაძემ ყურადღება მიაქცია საზოგადოდ კრიზისს. ამ 20 წლის წინად ამგვარივე კრიზისი იყო ტფილისში და 600,000 მანეთის მამული დარჩა ბანკსაო. ჩვენ ბანკს კრიზისი ამ სამიოთხი წლის წინად დაეწყო. ესაა უმთავრესი მიზეზი, რომ ბევრი მამულები დარჩა. ნამდვილი მიზეზი ბანკზე მამულების დარჩენისა, რეჟიმი-კი არა, წლევანდელი ხალხის მოძრაობაა. მოვაჭრე შიშობს მამულის შეძენას, მით უმეტეს, რომ მუქარის წერილები მისდითო. დასასრულ თავ. ჭავჭავაძე თითოეულს მამულს ცალკე შეეხო და დაიმუავრა.

მ. მაჩაბელმა განაცხადა: თავ. ჭავჭავაძე ნამდვილ მიზეზების ნაცვლად ბრალს ჩვენ გვდებს. მე ვითხოვ გადაჭრილ პასუხს გამგეობისაგან, მართლა სასურველ მდგომარეობაშია ჩვენი ბანკი თუ არა და თუ არა, ვინ არის დამნაშავეო. თავ. ჭავჭავაძე: კომისიამ ბანკის ცხოვრებაში მიზეზების ნაცვლად რაღაც რეჟიმი გამოსძებნა. ცოტა ბრალი შეიძლება ჩვენ მიგვეძღოდეს, ცოტა კომისიას, მაგრამ უმთავრესი მიზეზი გარეშე გარემოებათაგან წარმოსდგებაო.

თავ. პ. გრუზინსკიმ კარგა ხანს ილაპარაკა და ბრალი დამფასებელ კომისიას დასდო.

ა. ი. ყანჩელმა აღნიშნა წესდების რამდენიმე მუხლი და სთქვა, რომ გამგეობა ვალდებულია კონტროლი გაუწიოს კომისიის ნამოქმედარსაო.

ამის შემდეგ კრება შესწყდა საღამოს 8 საათამდე. განახლებისას დიდს ხანს ილაპარაკა საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ თავ. ვეზირიშვილმა. მანაც დიდი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გამგეობა კონტროლს არ უწევს დამფასებელ კომისიას როცა ამისი უფლება აქვსო. თავ. ვეზირიშვილს მოჰყავს ცნობები ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ. დამფასებელ კომისიის თავმჯდომარემ თავ. ლ. ჩერქეზიშვილმა აღიარა თავისი დანაშაული ზიხას მამულის დაფასების საქმეში. დანარჩენ მამულების შესახებ თავ. ჩერქეზიშვილი იმტკიცებდა, რომ სულ რამდენიმე მამულისაგან მოუვა ბანკს ზარალიო. კომისია დაფასების დროს ისე იქცეოდა, როგორც წინა წლებში. დამფასებელ კომისიის წევრმა ყაზახიშვილმა სთქვა, ზოგიერთი ბრალდება მამულების დაფასების შესახებ შეიძლება მივიღოთ, მაგრამ უმთავრესი მიზეზი მამულების დარჩენისა ცხოვრების საზოგადო პირობების ბრალიაო. თითქმის დანარჩენი დრო ამ საღამოს ნაშუადღევის 1 საათის ნახევრამდე ილაპარაკა ბ-ნმა კობიაშვილმა. აღნიშნა, რომ გამგეობა ჯეროვანს კონტროლს არ უწევს დამფასებელ კომისიას, რომ გამგეობის მეოთხე წევრი იმიტომ იქმნა ამორჩეული, რომ დასაგირავებელი მამულები ადგილობრივ გაეცნო და დამფასებელ კომისიის მოქმედება შეემოწმებინაო. ორატორი ამტკიცებდა, რომ მიზეზი გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის მიერ დამფასებელ კომისიის სახელმძღვანელოდ შემოღებული წესი. ეს მოხდა 1897 წლიდან და შედეგად მოჰყვა ამდენ მამულების დარჩენაო. როგორც წინად, კომისიას მეტი დამოუკიდებლობა უნდა მიეცესო. რწმუნებულნი მოიქანცნენ, გვიანაც იყო და კრება გადაიდო 15 ივნისისთვის.

ამ დღეს კამათმა იმავე საგნის შესახებ ნაშუადღევის 4 საათამდე გასტანა. დიდს ხანს ილაპარაკეს მ. მაჩაბელმა, ხრამელაშვილმა, თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილმა და სხვათ. ყველანი უმთავრეს ბრალსა სდებდნენ გამგეობას, რომ იგი სიცოცხლეს ნაკლებად იჩენს, ჯეროვნად უფლებებით არ სარგებლობს, კონტროლს არ უწევს დამფასებელ კომისიას და სხვ. კრება გადაიდო დღეს დილის 10 საათისათვის.

რუსეთის ქრონიკა

ვარშავის მცხოვრებთა აღელვებული მდგომარეობა ასეა აწერილი რუსულ გაზეთებში: „6 ივნისს ქალაქში ხმა გავრცელდა, ვითომ ყველა მოხელეს ცნობა მოსვლოდეს ოჯახობის გახიზვნის შესახებ ვარშავიდან, რადგან მთავრობას გაუგია, რომ დიდი არეულობა მოხდებაო. ამ ხმების გამო ბევრმა თავისი ცოლ-შვილი დაუყოვნებლივ გაგზავნა და ბევრნი დღესაც ისტუმრებენ ქალაქიდან საზღვარ-გარედ ან სხვა ადგილებში. 7 ივნისს ფეხსაცმელების სახელოსნოების მეპატრონეთა კრება უნდა მომხდარიყო. უნდოდათ შეთანხმებულიყვნენ, 2 თვით მუშაობის შეწყვეტისთვის, რომ ქარგლები დაეთანხმებინათ თავიანთ პირობებზედ, მაგრამ კრება მუშების ბრბომ გაჰფანტა. ღარიბთა უბნის მდგმურებმა გამოუცხადეს სახლის პატრონთ, უკეთუ სახლის ქირას 20%-ს არ დაუკლებთ, სულაც ვერ მიიღებთ ქირასაო. სახლის პატრონები შეფიქრიანდნენ; ეშინიანთ, ამ მოძრაობამ და მოთხოვნილებამ საზოგადო ხასიათი არ მიიღოს. („რ. ვ.").

ხატის გაგზავნა ჯარში. მოსკოვში შემდგარა წრე, რომელსაც განუზრახავს შეადგინოს კომიტეტი. კომიტეტს უნდა ყაზანის ღვთის-მშობლის ხატის ასლი გადაეღებინებინა შორეულ აღმოსავლეთს ჯარში გასაგზავნად, ამის შესახებ მიუმართავთ მოსკოვის მიტროპოლიტისთვის, მაგრამ იმას უთქვამს, ჯარში უამისოდაც იმდენი ხატია, რომ ვერ უვლიან და სრულიად უპატივცემულოდ სტოვებენო. („ნ.").

მასწავლებელთა კრება პეტერბურგში. ამ დღეებში მრავალი სასოფლო, სამოქალაქო და საშუალო სასწავლებლების მასწავლებელი ჩასულა პეტერბურგში მთელ რუსეთიდან სხვა და სხვა საქმეებზე მოსალაპარაკებლად. 9 ივნისს მასწავლებლები შეკრებილან სატეხნოლოგო ინსტიტუტში, მაგრამ ნება არ მიუციათ. მეორე დღეს მასწავლებელნი ფინლიანდიის რკინის გზით გაემგზავრნენ ვიბორგში, სადაც დარჩებიან რამდენსამე დღეს საგულისხმო საქმეების განსახილველად. ფინლიანდიაში ხელს არავინ შეუშლით. („რ. ვ.").

ადვოკატთა კავშირის ორგანიზაცია. როგორც „რ. ვ."-ში სწერენ, ამ ჟამად გამოძიებაა სრულიად რუსეთის ადვოკატთა კავშირის ორგანიზაციის საქმის შესახებ. პეტერბურგის სამოსამართლო პალატის ნაფიც ვექილთა საბჭოს უკვე შეჰკითხებია ჟანდარმთა უფროსი აღნიშნულ ორგანიზაციის შესახებ. საბჭოს გადაუწყვეტია [illegible] გამოძიება და წარმოება ამ საქმის შესახებ არ მოახდინოს, ვინაიდან ეს საქმე პოლიციის სრულიად არ შეეხებაო.

ბულიგინის პროექტი, როგორც რუსეთის გაზეთები გვაცნობებენ, 250 მუხლს შეიცავს, რომელთა უმეტესი ნაწილი სამეურნეო საკითხებს, არჩევნებსა და სხ. ამისთანებს შეეხება. ხალხის წარმომადგენელთ მიეცემათ დღიურად 15 მან., რა ხანსაც გასტანს სახელმწიფო საბჭოს სესია, და ამას გარდა რკინის გზის 1 კლასის უფასო ბილეთი. საბჭოს სხდომა წელიწადში 4 თვემდე გასტანს. არჩევნები 1 აგვისტოს მოხდება.

ახალი გადასახადი. წითელის ჯვრის სასარგებლოდ დაწესდა ახალი გადასახადი: რკინის გზის სახალხო მატარებლების 1 და 2 კლასის ყველა მგზავრს გამოერთმევა 10 კაპ. მე-3 კლასის იმ მგზავრს გამოერთმევა ეს ფული, რომლის ბილეთიც 8 მანეთზე მეტი ღირება. („რ. ს.").

პატარა ფელეტონი

ექიმი ქანანოვი

ტფილისში საბებიო ინსტიტუტი არსებობს. ამ დაწესებულების ერთ მთავარ საქმედ ითვლება უმწეო, უსაბრალოეს მიგდებულ ბავშვების პატრონობა. ყოველ წელს ამ საქმისათვის იხარჯება ხაზინიდან ხალხის ფული 22 ათასი მანეთი, და რას ვხედავთ პატრონობას მაგიერ?!

ბატონმა ა. კვერკველაძემ აჰხადა ფარდა ამ პატრონობა-მზრუნველობას და დაგვანახვა, თუ რა საძაგლობა და დაცემულობა იმალებოდა ფარდის ქვეშ.

კანონით, მიგდებულ ბავშვების ყურის საგდებლად დანიშნულია ერთი ექიმი და ორიც ბებია ქალი. გარდა კუთვნილ ჯამაგირისა, ექიმი იღებს ყოველთვე 50 მანეთს, რომ თვეში ერთხელ მაინც ინახულოს გაბარებული მიგდებული ბავშვი.

როგორ ასრულებია აქამდე თავისი მოვალეობა ბატონ ქანანოვს, რომელსაც ეს საქმე აქვს ჩაბარებული?

ეს გამოირკვა იმ კომისიის გამოძიებაზე, რომელიც დაინიშნა ბატონ კვერკველაძის წერილების შემდეგ.

ქანანოვი არასოდეს არ დადიოდა ბავშვების სანახავად, თუმცა ძიძას რამდენჯერმე შეტყობინებიათ—ბავშვი ავად მყავს და დამეხმარეთ. ორმოცდაათზე მეტმა ძიძამ დაამოწმა ასეთი სამარცხვინო დაუდევრობა ექიმისა. საზოგადოებისა და თავის მთავრობის მოსატყუებლად, ვითომ ბავშვებს ყოველ თვე ვნახულობო, ქანანოვს ერთი საშუალება გამოუგონია: უბრძანებია ძიძებისათვის—ჯამაგირის მისაღებად რომ მოხვიდეთ, უთუოდ ბავშვებიც თან მოიყვანეთო, და ძიძებსაც მოჰყავდათ ხშირად გადამდებ სენით ავადმყოფი პატარებიც, რადგან ისე ჯამაგირს ვერ აიღებდნენ. ქანანოვი ხუთ თუმანს იღებს ეტლის ფულს ბავშვების სანახავად და ძიძებს-კი აიძულებს აქ, საბებიო ინსტიტუტში, მოიყვანონ ბავშვები სანახავად. მაგრამ აქაც-კი სრულიად უყურადღებოდ ეპყრობოდა საბრალო ჩვილებს, რის გამო ბევრი მათგანი უდროოდ მიდიოდა ამ წუთისოფლიდან. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ სრულიად დაუკვირვებლად გადაუცია ექიმს მიგდებული ბავშვი ძიძისათვის და შემდეგ აღმოჩენილა, რომ ბავშვი სიფილისიანი ყოფილა, თვითონ მალე მომკვდარა, მაგრამ ძიძაც დაუავადმყოფებია.

რაკი ასე სინიდისიერად ასრულებია ექიმ ქანანოვს თავისი მოვალეობა, აღარ უნდა გაგვო-

---

თავდება: „თუ რუსეთის საშუალო სასწავლებლების ძირითადი რეორგანიზაცია მოხდა, ჩვენს სკოლაში ყველა საგნები ქართულს ენაზე უნდა ისწავლებოდეს, მაგრამ თუ ასეთი ცვლილება არ მოხერხდა, სათავად-აზნაურო სკოლაში ქართული ენა მთავარ საგნად მაინც უნდა იყოს მიჩნეული".

„როგორ შეიძლებაო,—ამბობს ზოგიერთი,—თითქმის მთელი საქართველო ავტონომიას თხოულობს და განა სირცხვილი არ იქნება, სკოლაში ქართულ ენის გაბატონების შესახებ ასეთი საკომპრომისო პირობა წამოვაყენოთ?!. საჭიროა გადაჭრით მოვითხოვოთ ყველა სასკოლო საგნის ქართულ ენაზე სწავლება და არა მარტო ქართული ენის გაფართოება და „გამთავარ-საგნებაო".

ამ კითხვის პასუხი ჩვენ უკვე ზემოდ გამოვთქვით. ჩვენს მოხსენებას ზრადა აქვს მხოლოდ დროებითი ცვლილება, რომელთ განხორციელება სექტემბრიდანვე შეიძლება, და არა სკოლის ძირითადი რეორგანიზაცია, რადგან საბჭოს უცილობელ ჭეშმარიტებად არ მიაჩნია, რომ სექტემბრამდე რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში რაიმე არსებითი ცვლილება დამყარდეს. საბჭო ბევრს არ თხოულობს, რადგან ბევრის მიღება სექტემბრამდე საეჭვოდ მიაჩნია. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, თითქოს იგი ბევრის მიღებაზე უარს იტყოდეს, თუ კი ეს მანამდე შესაძლო და მოსახერხებელი შეიქნება. სამაგიეროდ, იგი არც იმ ორატორებს ეთანხმება, რომელნიც ჰქადაგებენ ბევრი მოვითხოვოთ და, თუ ბევრს ვერ მივიღებთ, ნუღარც ცოტას გვინდაო. „ცხრა ული ხარი" კარგია, პატონებო, მაგრამ როცა საქმე არჩევანზე მიდგება, „სულ არაობას ცალ-ულელა ხარიც გვირჩევნია".

იმავე ნაწილის მე-3 მუხლში ისეთი კერძო პედაგოგიური მოთხოვნილებაა წამოყენებული, რომ, ზოგიერთ ორატორის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ამ პუნქტისათვის მოხსენებაში ადგილი არ მიეცათ. მაგრამ კამათიდან აღმოჩნდა, რომ მოხსენებაში ამ „მუხლის" ჩატანაც საჭირო ყოფილა, რადგან საპედაგოგიო საბჭოს აზრად აქვს—გიმნაზიურ ძირითად კლასებში (მე-V-მდე მაინც) რუსულის და ქართულ ენის გრამატიკა სრულიად არ ისწავლებოდეს; მისი ადგილი ამ კლასებში მარტო, ეგრედ წოდებულს, განმარტებითი კითხვას უნდა დაეთმოს. საჭიროა, ეს ცვლილება ახლავე დაკანონებულ იქნას საზოგადო კრების მიერ, რომ შემდეგში მასწავლებელთა და მშობლებს შორის უთანხმოება არ გამოიწვიოს.

რაც შეეხება მე-4 მუხლს, სადაც კლას გარეშე წიგნების გონივრულად კითხვაზეა ლაპარაკი, როგორც კამათმა აღმოაჩინა, ჩვენის სკოლის საპედაგოგიო საბჭოს აზრადა აქვს სამუდამოდ დაკანონოს ის წესი, რომელიც ყოველ მასწავლებელს ავალებს კლას გარეშე წიგნების კითხვაში მოსწავლეებს თვითონ ხელმძღვანელობდეს და რომელიც სკოლაში დღემდე არ სრულდებოდა, ან თუ სრულდებოდა, შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და არა სავალდებულო ძალა.

მე-5, 6 და 7 მუხლები კამათს არ იწვევს, რადგან ყველა თანახმაა, რომ, როგორც საბუნების-მეტყველო საგნების გაფართოება, ისე ფრანგულ-გერმანულის ჯეროვანად შესწავლა და ლათინურის ცოდნა—საშუალო სკოლის მოწაფისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. რაც შეეხება სომხურისა და თათრულის შესწავლას, იგინი ფაკულტატიურ საგნებად შეგვიძლია შემოვიღოთ, ე. ი. ვინც მოისურვებს, ისწავლოს.

ეჭვი დაუბადა ზოგიერთს ფილოსოფიის, პსიხოლოგიის, კანონმდებლობის, პოლიტიკურ ეკონომიის, სტატისტიკის, კულტურულ ისტორიისა (მუხ. 8) და ფაკულტატიურ საგნების შემოღებამ (მუხ. 9).

აზრი გამოთქვა: „თუ აწ არსებულ საგნებს ეს ამდენი ახალი საგანიც მიუმატეთ, მოწაფეებს დასვენებისა და ფიზიკურ-ესტეტიურ განვითარებისათვის დრო აღარ დარჩებათო. თუ აქამდე ყოველ-დღე ხუთ-ხუთი გაკვეთილი იყო, ამას იქით შვიდი და რვა გაკვეთილი დაგვეჭირდებათო. ეს კი პედაგოგიის წინააღმდეგია და, გვიკვირს, ეს უბრალო პედაგოგიური მოსაზრება როგორ გაუშვა მხედველობიდან სათავად-აზნაურო სკოლის საპედაგოგიო საბჭომაო". ჩვენს მოხსენებაში ამ ვითომდა—„წონასწორეობის" აღმოჩენამ ასე გაიტაცა ერთი ორატორი, რომ მან უკვე „წესის-აგებაც" დაუწუნა ჩვენს მოხსენებას, ანტიპედაგოგიურად ჩასთვალა იგი და, ვინ იცის, კიდევ რას არ იტყოდა, უკეთუ ამ დროს თვით საპედაგოგიო საბჭოს წევრებს ციფრებით არ დაემტკიცებიათ საზოგადოებისათვის, რომ, რადგან წელს მე-VII და VIII კლასში ბერძნული ენა ისპობა და თანაც საპედაგოგიო საბჭოს განზრახვა აქვს საზოგადოდ ყოველ საგნიდან ზედ-მეტი ბარგი გამოიცხოს, სექტემბრიდან მარტო სამ ზემო კლასში (მე-VI, VII და VIII-ში) იც გაკვეთილამდე განთავისუფლდება,—და ეს რიცხვი-კი სრულიად საკმაოა ზემოდ დასახელებულ ახალ საგნების ელემენტარულ კურსის შესასწავლადო. ნურავინ იფიქრებს, ვითომ თანამედროვე სკოლას საგნების რიცხვი ვნებდეს; სკოლისათვის მავნებელია ის, რომ თვითეულ საგანში არსებული პროგრამა ბევრს ისეთს ზედ-მეტ სასწავლო მასალას ათავსებს, რომელიც მოწაფისთვის არც მიმზიდველია და არც საჭირო. თუ ეს ზედმეტი მასალა გამოირიცხება, საგნების რაოდენობა თავის-თავად არავითარს ვნებას არ მოიტანსო; განსაკუთრებით ისეთი საგნებისა, როგორიც ფილოსოფიის ისტორია, პსიხოლოგია, პოლიტიკური ეკონომია, სტატისტიკა და კულტურის ისტორიაა, რომელთაც საზოგადო განმავითარებელი ხასიათი აქვთ და, თუ მათი სწავლება, მეთოდიკის მხრით, რაგვარად იქნება დაყენებული, მოწაფეების შრომას ერთი-ორად უფრო გაანაყოფიერებს და ძალას შემატებსო.

ამასთანავე ისიც გამოირკვა, რომ საპედაგოგიო საბჭოს არც მოწაფეთა ფიზიკურ და ესტეტიურ განვითარების საქმე დაუტოვებია უყურადღებოდ. საამისოდ შემდგარს კომისიებს უკვე შრომა დაუმთავრებიათ და თავისი მოხსენებანი საბჭოსათვის წარუდგენიათ. „თუ ნებას მოგვცემთ,—განაცხადა სკოლის გამგემ,—ამ მოხსენებასაც წაგიკითხავთო",—მაგრამ დამსწრე საზოგადოებამ მოხსენების წაკითხვა საჭიროდ აღარ სცნო.

მე-10, 11 და 12 მუხლებში ისეთი პედაგოგიური ჭეშმარიტება აღმოჩნდა, რომ არსებითად მათ წინააღმდეგ არავის არა ეთქმოდა რა და არც უთქვამს. მხოლოდ რამდენიმე პირმა განაცხადა: რა საჭიროა, რომ საზოგადო კრებაზე წასაკითხ მოხსენებაში ისეთი წმინდა პედაგოგიური საანბანო ჭეშმარიტება მოვათავსეთ, როგორიც სამაგალითო გაკვეთილები და რეფერატების კითხვაა. საზოგადოდ, ზოგიერთებს ემჩნევათ, როცა მოხსენებაში ანტი-პედაგოგიურს ვერას ჰპოულობენ, თვით მოხსენების ფორმას და მეტ-ნაკლებობას აფრინდებიან: „მოხსენება კარგად ვერ შეგიდგენიათ, ამასთანა საანბანო ჭეშმარიტებას აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდაო" და სხვა. ისიც გვაკლდა, რომ ახლა მოხსენების ენის გარჩევაშიაც შეუდგნენ: კარგის ქართულით ვერაა დაწერილიო.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ამგვარს შენიშვნებს პედაგოგიასთან არსებითი კავშირი არა აქვს, იგინი კანცელარიის მოხელეს და, საზოგადოდ, ბიუროკრატს უფრო შეშვენის,—და ამიტომ, უმჯობესი იქნება, აღნიშნული ორატორები ამგვარ რამეებზე კამათს თავს დაანებებდნენ, თუ კი, რასაკვირველია, მათ თვით ჩვენი სკოლის ბედ-იღბალი აინტერესებთ და არა მოხსენების ფორმა.

ს. გორგაძე

---

*) რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა.

კვირდეს, თუ სხვისა ფულების მითვისებაც სცოდნია.

ბატონ კვერკველაძის წინადადებით, კომისიამ (საქმეთა ნაწილის სამართველოს წარმომადგენელი, საბებიო ინსტიტუტის დირექტორი, ამავე ინსტიტუტის ერთი ექიმი და ბ. კვერკველაძე) მოითხოვა საბუთის წიგნები იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად მართალია ხმა, რომ ქანანოვი ძიძების ჯამაგირს ითვისებდა. საბებიო ინსტიტუტის დირექტორმა ფიშერმა დიდი პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ, მაგრამ წიგნები მაინც შეამოწმეს. და ინსტიტუტის ზედამხედველს, ბებია ქალს და ძიძებსაც გამოჰკითხეს. აღმოჩნდა, რომ ქანანოვი რამდენიმე თვის განმავლობაში იღებს ხოლმე ძიძების ჯამაგირს—მე თვითონ გადავცემ იმათ ფულსო; ნამდვილად კი ამ ძიძებს ჯამაგირი უკვე მოსპობილი ჰქონიათ. ამ გვარად ბატონ ქანანოვს თვე და თვე 100, 150 და 200 მანეთი მიჰქონდა თურმე... თავის საკუთარ ჯიბეში ჩასაჩხრიალებლად.

ხუთ მაისს გამოამჟღავნა ბ. კვერკველაძემ ქანანოვის საგმირო საქმენი და აქამდე ვერ მიუციათ პასუხის გებაში ეს გმირი. ეხლა, როგორც ბ-ნი კვერკველაძე სწერს, გამოძიება ბატონ ფიშერის თავმჯდომარეობით სწარმოებს და ეს კიდევ ახალი საბუთია იმისი, რომ საქმე ადრე არ დასრულდება და ბატონ ქანანოვს დროზედ არ მიესაჯება ის ჯილდო, რომელიც დაიმსახურა ასეთ უმწიკვლო მოღვაწეობით მიგდებულ ბავშვების პატრონობის საქმეში. ფიშერი ხომ დიდი წინააღმდეგი იყო საბუთის წიგნების შემოწმებისა.

წერილები

ოზურგეთი. არ ვიცი, სიდან დავიწყო. რომელი ფაქტიც უნდა ავიღო, ყველა სიწყენია, მკითხველო, მეტადრე მაშინ, თუ შენ ზოგიერთებივით ქვის გული არა გვაქვს და ჭიქის თვალებით არ იცქირები... დავიწყოთ თუ გინდ ოზურგეთის ნოქრებ-შეგირდების მოთხოვნილებიდან. აგერ ერთი თვე სრულდება თითქმის მას შემდეგ, რაც თავიანთ „ხაზეინებს“ მათ წარუდგინეს ათ-თორმეტ მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნილება. არც ერთი მუხლი ამ მოთხოვნილებისა (ესენი გაზეთშიც დაიბეჭდა) არ იყო გადამეტებული და გაზვიადებული, არამედ ადამიანურ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან შეკავშირებულ-შეთანხმებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელოსნებ-ვაჭრებმა ამოირჩიეს კომისია მოთხოვნილებათა შეასწორებლად. ამ კომისიაში სამი ნოქარი და სამი ვაჭარი მოჰყვა. ამათაც ხელმეორედ შეასწორეს მოთხოვნილება და კრებას წარუდგინეს, რაიც ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა. შემდეგ ამისა აირჩა ხელ-მეორე კომისია, ექიმის თანდასწრებით ნოქარ-შეგირდთა საცხოვრებელ ბინების შესამოწმებლად. იმათაც დაათვალიერეს საძინებელი ოთახები და აღმოჩნდა, რომ ას სამოცდა ცხრა ოთახში ათი-თხუთმეტი ძლივს ყოფილა ისეთი, რომ ადამიანს შეეძლოს შიგ ძილი და მუდამ ცხოვრება. მეტადრე ზაფხულობით უმეტეს ალაგას პატარა შეგირდები წვებიან სოველ იატაკზე, ხშირათ ცემენტზე, დუქნის უკანა ბნელ ქვის ნოტიო ოთახში, რომელსაც მზის სხივები ერთხელაც არ მიჰკარებია და მეტის სისველისაგან კედლები დანოტიოვებულია. ასეთ ოთახებში ხშირად წვება თურმე ოთხი-ხუთი ბავშვი. წვებიან აგრეთვე თითონ იმ სახელოსნოში, სადაც დღისითაც მუშაობენ. ასეთი ოთახები კომმისიამ უვარგისად სცნო და დაავალა „ხაზეინებს“ ზაფხულობით სამი თვით მაინც გამოუცვალონ ყმაწვილებს ბინები. იმათ კი გამოცვლის მაგიერ კომისიას ცილი დასწამეს და ხალხში ხმები გაავრცელეს, თითქოს ისინი ნოქრებისაგან მოსყიდულნი ყოფილიყვნენ. 8 ივნისს უკანასკნელად მოხდა „ხაზეინების“ და ნოქრების კრება. წაკითხულ იქმნა კომმისიის გამოკვლევა ბინების შესახებ, მაგრამ დაკმაყოფილების სურვილი თითქმის ნახევარმაც არ განაცხადა, რის გამოც 9 ივნისს ნოქარ-შეგირდებმა ერთად დაანებეს მაღაზია-სახელოსნოებს და გარეთ გამოვიდნენ. დღესვე მოხდა ამის გამო „ხაზეინების“ კრება, მაგრამ არც ერთი ხელოსანი კრებაზე არ გამოცხადდა, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია.

9 ივნისს საწყენი ამბავი ჩამოგვიტანეს გურიის დამამშვენებელ აგარაკ ბახმაროდან. საზოგადო სახლები (სულ სამი იყო ბიბლიოთეკისათვის, რომელშიაც წარმოდგენები და კრებები იმართებოდა, რესტორანი და მაღაზია, რომლის გაკეთება ეხლა ორას თუმანზე მეტი დაჯდება) გადაუწვავთ. მასთან კიდევ დაუწვავთ ორი თუ სამი კერძო სახლი. იმ დროს, როდესაც დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა სინდისზე და ადამიანობაზე ჰქადაგობს, ასეთი ამბები ხდება. როგორც ფიქრობენ, ამ მოქმედებას რაღაც სხვა სარჩული უნდა ედვას.

პარკი შემოვიდა ოზურგეთში. ფუთს ჯერ-ჯერობით თორმეტ მანეთად ყიდულობენ. გურიის ამხანაგობა „შუამავალიც“ შეუდგა ყიდვას. **—ლია.**

ბოდბისხევი (კიზიყი). მთელ კიზიყში არც ერთი სოფელი არა ყოფილა ისე აბუჩად აგდებული და დაბრიყვებული სოფლის ჰამია მგელ-კაცებისაგან, როგორც ბოდბისხევი. რანაირი საზიზღრობა გნებავთ, რომ დასაწყისი აქ არა ჰქონოდა. ამ ქვემძრომთა მეოხებით ისე თავს გავიდნენ ქურდ-ბაცაცები, რომ მოურიდებლად იკვეხოდნენ და ნაქურდალით საქვეყნოდ თვით პატრონსაც-კი ეპატიჟებოდნენ. თუ რომელიმე თავზედ ხელ აღებული პატრონი გამოეკიდებოდა ქურდებს, იმასვე ატირებდნენ ცხარე ცრემლით ბობოლა სოფლის მამების დახმარებით, რადგან ყოველს ამათგანს ხელის ჭუჭყს ამოსცხებდნენ ხოლმე... ახალმა გამაცოცხლებელმა სხივებმა ბოდბისხევსაც მიაწუქა. აქაურმაც გაახილა თვალები და დაინახა, რომ მათი მტაცებელთა ბუნაგი აქავე ყოფილიყო მათს ცხვირ წინ. წარსულ ზამთარში ამ ბუნაგს დაეცნენ, შეაწრეს ეს თავგასული რაინდები, ხელი მოაწერინეს ოქმზე სამუდამოდ მათს დასაღუპად. ესენი დღესაც სიღნაღის გალიაში ბძანდებიან. ამით დიდად შეწუხებული სოფლის მამები, რომ ამ რაინდების მეოხებით შემოსავლის წყარო მოესპოთ, სცდილობენ მათს განთავისუფლებას.

გაზაფხულის დასაწყისში ხალხის მტაცებელთა მთელ ბრბოს მდიდრული სადილი გაეჩაღებინა სოფლის სამიკიტნოში იმ ფულით, რომელიც ზამთრის საბალახეთ გაცემულ მინდორში თუშებისაგან აეღოთ. ესენი რომ აქ შესქცეოდნენ მოხარშულ და შემწვარ ინდოურებს, კარებიდან შეჰყურებდა მშიერი ხალხი. ამ სანახაობით გაცოფებულნი შეცვივდნენ სამიკიტნოში და სტაცეს ზოგიერთს ხელი, ზოგმა კი თავს უშველა. ბევრი მიაყოლეს სოფლის „მამასაც“. ერთი კვირის შემდეგ ვითომ ავადმყოფობით თავი გაანება მამასახლისობას და თანაშემწეს გადასცა ნიშანი. მასთან ერთად დაიმალა მგლების მთელი ხროვაც. **დროებით კიზიყელი**

წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში გამოაცხადოთ, რომ „კახეთის“ საზოგადოების გამგეობა აძლევს წინადადებას საზოგადოების მოსამსახურეთ, რომელნიც გაიფიცნენ, თავი დაანებეს სამსახურს და ბოიკოტი გამოაცხადეს, უთანხმოება მათ და საზოგადოების შორის გარჩეულ იქმნას სამედიატორო სასამართლოს შემწეობით.

სასამართლოს გასარჩევ საგნად უნდა იყოს მოსამსახურეთაგან წარმოდგენილი მოთხოვნილება და მსჯავრი, რომელიც დასდო ამ მოთხოვნილებას საზოგადოების გამგეობამ.

გამგეობა თავის მხრივ მედიატორებათ ასახელებს ალექსანდრე ჯაბადარს, გიორგი ლასხიშვილს და ფილიპე გოგიჩაიშვილს. და სთხოვს მეორე მხარეს ორის დღის განმავლობაში დაასახელოს თავის მხრივ სამი მედიატორი.

„კახეთის“ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ს. ვახვახოვი, გამგეობის წევრი გ. რცხილაძე.

ბატონო რედაქტორო!

ამას წინად „ცნ. ფ.“-ს მე-2810 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ჩემს შესახებ, რომელმაც მეტად გამაცვიფრა. ყოველივე ამბავი, ამ წერილში აღნიშნული, სიმართლეს მოკლებულია.

პირველად ავტორი მოგვითხრობს, ვითომ ნება დამერთოს მუშა თავდგურისთვის (გვარათ ბაგიევი), ავადმყოფი ცოლი დაეწვინა განსვენებულ თოფურიას საავადმყოფოში „ნახშირას“ საზოგადოების ხარჯზე, მაგრამ შემდეგ მივსულიყო და სამას მანეთის მაგივრად შემეძლიოს ორასი და ისიც იმ პირობით, რომ ეს ფული შემდეგ ქალის ქმრის ჯამაგირიდან მერიცხოს ყოველ თვიურად. აქ მართალია მხოლოდ ის ფაქტი, რომ საავადმყოფოში იწვა მუშათა თავდგურის ცოლი. რაც შეეხება დანარჩენს, ვითომ ავადმყოფის მორჩენის შემდეგ დამეწყოს ვაჭრობა ან მეთქვას ეს ფული უნდა დაუჭირო ქალის ქმარს მეთქი, მტკნარი სიცრუეა. აი საქმე როგორ იყო: ვიდრე ავადმყოფს მოვათავსებდი საავადმყოფოში, განსვენებულ თოფურიასთან მართლაც ჰქონდა ვაჭრობა და შევრიგდით დღიურად სამ მანეთზე, რომლის მიხედვით ანგარიში გამოგზავნა განსვენებულმა და მეც არავითარი უკმაყოფილება არ გამომიცხადებია. ამასთან ფულის გამორიცხვა ქალის ქმრის ჯამაგირიდან მე აზრადაც არ მომსვლია, რის დასამტკიცებლად აქვე ვგზავნი ბაგიევის (ქალის ქმრის) წერილს *). საავადმყოფოსთვის მართლაც აქამდის არ გაგვიგზავნია ფული, მაგრამ ეს სულ სხვა მიზეზით მოხდა. განსვენებულ თოფურიასაგან საერთო ხარჯის ანგარიში მომივიდა (საუკეთესო საბუთი, რომ თოფურიას უარი არ გამოუცხადებია ფულის მიღებაზე). იმ დროს საჭირო ფული არ გვქონდა. ეს სწორედ იმ ხანებში იყო, როდესაც განსვენებული აბასთუმნისკენ მიემგზავრებოდა, საიდანაც დაბრუნება აღარ დასცალდა. ამ გარემოების მიზეზით დღესაც ეს ფული კონტორაზე ითვლება, ვინაიდან თოფურიას გადაცვალების შემდეგ სამკურნალოს საქმეების გამოურკვევლობის გამო არ ვიცოდით, ვისთვის გადაგვეცა ფული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რაკი განსვენებულს კანონიერი მემკვიდრე არ დარჩენია, ეს ფული გადავწყვიტეთ გადავსცეთ განსვენებულის ნაშვილევს პატარა ქალს. სიცრუეა მეორე ფაქტიც. ავტორი ბრძანებს: „ნახშირას“ საზოგადოების ფოსტის დამტარებლის გაძარცვის დროს ავაზაკებისაგან დაჭრილი დარაჯი, გვარად პაპიანცი, მიიყვანეს თოფურიასეულ საავადმყოფოში, მაგრამ პაპიანცი რამდენიმე დღის შემდეგ ჭრილობისაგან გარდაიცვალა. ოთხი დღე ესვენა საავადმყოფოში მიცვალებული და რადგან ალიბეგოვს ვერას გზით ვერ აღუძრეს კაცობრიული გრძნობა, სამკურნალოს ახალმა გამგემ გერატმა მოუწოდა სომხების მღვდელს და სთხოვა, როგორათაც ერთი უპატრონო ვინმე, თავის ხარჯით დაესაფლავებინაო. ოთხი დღე, რომელზედაც გვითითებს ავტორი, იმის გამო დავტოვეთ მიცვალებული საავადმყოფოში, რომ გვინდოდა მოხუც დედას უკანასკნელი მშვიდობა ეთქვა თავის პირმშო შვილის გვამისთვის. გავიგე თუ არა საცოდავის გადაცვალება, დეპეშა გავუგზავნე დედამისს, მაგრამ სიშორისა გამო საცოდავმა ვეღარ მოასწრო ოთხ დღეზე ჩამოსვლა, მეტი ცდა კი შეუძლებელი იყო და მეც დასაფლავებაზე განკარგულება მოვახდინე. კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ სამკურნალოს გამგის თხოვნით სომხთა მღვდელმა დაასაფლავა მიცვალებული თავის ხარჯითაო. რამდენად მართალია ეს ფაქტი, შეუძლიან დაამტკიცოს ექიმ ნაზაროვს, რომელსაც, რაკი ავადმყოფობის გამო პირადად არ შემეძლო ქუთაისში წასვლა, ვთხოვე, როგორც ჩვენ ექიმს, ეთხოვა სომხების მღვდლისათვის ჩემ მაგიერ რაც შეიძლება დიდებულად დაესაფლავებინა უდანაშაულო მსხვერპლის გვამი და შემდეგ ხარჯის ანგარიში წარმოედგინა ჩემთვის. ასეც მოხდა. (აქვე ვგზავნით სომეხთა მღვდლის მიერ წარმოდგენილ ხარჯის სიას და მასთან საფოსტო კვიტანციას). ამას გარდა მე ყოველი ღონე ვიღონე, რომ „ნახშირას“ საზოგადოების გამგეობას უზრუნველ-ეყო მოხუცი დედა უდიდესი ჯილდოთი (8000 მან.). ჭორია აგრეთვე მესამე ამბავიც. კორესპონდენტი განაგრძობს: „მადნის ადმინისტრაციას და ტყიბულის რკინის გზის მემანქანეთა შორის თავიდან დადებული იყო შემდეგი შეთანხმება: მემანქანეთ მუქთად აჰყავდათ სად. ტყიბულიდან მადნის სადგურამდე ადმინისტრაციის წარმომადგენელნი და ნაცვლად ამ თავაზისა ადმინისტრაციისაგან მუქთათ ეძლეოდათ ნახშირი. ერთ დღე უნდა მეთხოვოს მემანქანისათვის აეყვანა მადნებში, რომელსაც უპასუხნია: „ცოტა საქმე მაქვს—მოვრჩები და აგიყვანთო. ასეთ უდიერ პასუხს მე იმზომ უნდა გავებრაზებინე, რომ ჯავრის საყრელად იმ დროს წამეყენებიოს ჟანდარმი ხსენებულ მემანქანისათვის, როდესაც იგი ჩვეულებისამებრ იღებდა ნახშირს. ჩვენ ავტორს ის რომ სცოდნოდა, რომ მემანქანეს არ შეუძლიან სადგურის უფროსის ნებადაურთველად დაიძრას დანიშნულ ადგილიდან, მაშინ ამ ჭორსაც არ შეთხზავდა, ვინაიდან კანონის ძალით შეუძლებელია ჩვენ და მემანქანეთა შორის ზემო აღნიშნული შეთანხმება ყოფილიყოს. მართალია მემანქანეს ოქმი შეუყენეს, მაგრამ აქ არავითარი ანგარიშები არ ყოფილა, და მოხდა ეს სრულიად შემთხვევით. იმის შემდეგ, რაც გამოვეცი განკარგულება მუქთად არავის წაეღო ნახშირი, ვისიც საქმე იყო თვალ-ყურს ადევნებდა ამ გარემოებას და სწორედ ზემორე მოხსენებულ მემანქანეზე შეიტანა ეჭვი, რისთვისაც ჩემდა დაუკითხავად სად. ტყიბულში ჟანდარმის თანდასწრებით გაეჩხრიკათ და ნახშირის ამოჩენისთვის ოქმიც შეედგინათ.

სამთო ინჟინერი ნ. ალიბეგოვი

---

*) რედაქციამ მიიღო როგორც ეს, ისე ქვემოდ დასახელებული ქაღალდი. რედ.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

15 ივნისი.

ტოკიო, 14 ივნისი. ხაიონპიონგიდან წასული რუსები დაბანაკდნენ ჩტოკოლიდან ტანპოპსუმდე გამწკრივებულ მაღლობებზე, იონსონგონის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ტუმენის მარჯვენა ნაპირზე რუსები გაფაციცებით აგებენ დამცველ სიმაგრეებს, რათა შეაჩერონ იაპონელების ლაშქარი.

ხარბინი. მიშჩენკოს მიერ უკანასკნელ თარეშის დროს წამოყვანილი ტყვეები ძველი სალდათები აღმოჩნდნენ, 31—39 წლისანი. მათის სიტყვით ისინი უკანასკნელ დროის სათადარიგო ჯარის-კაცები არიან და წამოუყვანიათ ახალის კანონის ძალით. სალდათებს შორის ახალ-გაყვანილების მცირე პროცენტიც ურევია.

პარიზი, 14 ივნისი. რადოლინის მიერ რუვიესადმი ჩაბარებული ნოტა საკმაოდ ვრცელია და მეგობრული, თავაზიანი და მშვიდობიანი ხასიათი აქვს.—ნოტა იცავს კონფერენციის მოწვევის საქმეს და აღიარებს, რომ საფრანგეთი, რომელიც მარაკოსან არის მიკრული ალჟირის საზღვრით, განსაკუთრებულ მდგომარეობაში არისო და არ შეიძლება ამას გვერდი ავუქციოთო. ნოტის გადაცემის დროს გულითადათ იმუსაიფეს, რაც შეთანხმების იმედს იძლევა. (ჰავასი).

ვენა. დიურინშტეინში ერცჰერცოგ ლეოპოლდ სალვატორისა, რუსისა და საფრანგეთის სამხედრო ატტაშეთა და რუსეთის საელჩოს პერსონალის თანდასწრებით 1805 წ. 30 ოქტომბერს დახოცილ მეომართ ძეგლი დაუდგეს.

კალიში. ოფიციალურად აუწყეს გუბერნატორს, უკანასკნელ სროლის დროს გამოწვეულ თავზარ-დამცემის შიშის მსხვერპლი ერთი ებრაელის ქალიშვილი გამხდარა, რომელსაც გული წასვლია და მომკვდარა გულ-წასული. გარდაცვალებული დაუყოვნებლივ ჩუმად დამარხეს მშობლებმა, რათა თავი დაეხწიათ გვამის გაჭრისთვის ექიმებისაგან.

ვარშავა. ზოგიერთი გაზეთი საყვედურს აცხადებს უსარგებლოდ ჩავლილ გაფიცვის გამო. ფრაჟეს ფაბრიკის მუშები დასთანხმდნენ ადის მიერ წარდგენილ პირობებზე და ფაბრიკა აღარ დაიხურება. ქალაქში მშვიდობიანობა მყარდება.

პარიზი. რუვიემ განაცხადა მინისტრთა საბჭოში, რომ რადოლინის მიერ გადმოცემული გერმანიის ნოტა მეგობრულია და ამოწმებს, რომ გერმანიას უნდა შეთანხმება მოხდეს და საფრანგეთს ადვილად შეუძლიან ფორმალურად დაუთმოს რამე, რასაც გერმანია დიდს მნიშვნელობას აძლევსო.

ვარშავა, 14 ივნისი. დღეს სიწყნარეა, ფაბრიკები მუშაობენ. პურის-მცხობლების გაფიცვა გათავდა.

ჩენსტოხოვი. 12 ივნისს გადაგდებულმა ბომბამ დაამტვრია პოლიცმეისტრის ეტლი; პოლიცმეისტერი მსუბუქად დაიჭრა ხელში. გაიფიცნენ ყველა დიდ ფაბრიკებში მომუშავენი.

ადესა, 14 ივნისი. დღეს გრადონაჩალნიკის განცხადებაა გაზეთებში დაბეჭდილი, რომ ჯარებს ქვები დაუშინეს გაფიცულთო. ჯარებიკი თოფებით უპასუხესო. ორი კაცი მოკლულია, ერთიც დაჭრილი.

ლოძი. გუშინა და დღეს მუშაობენ თითქმის ყველა ფაბრიკებში.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

15 ივნისი

ტოკიო, 14 ივნისი. ნიშნებია, რომ იაპონიის ვაჭრობა წესიერ კალაპოტში ჩადგება.—ბევრი ჯარი გაანთავისუფლეს მთავრობის სამსახურიდან. მანჯურიაში ვაჭრობის განსავითარებლად ზომებს იღებენ. სამხედრო სატელეგრაფო სადგურები ანჩჟიუ, ჩონჩჟიუ და იჩჟიუ 18 ივნისს გაიხსნებიან ხალხისთვის. ჩქარა იაპონიასა და მანჯურიას შორის წესიერი მიმოსვლა გაიმართება.

ტანჟერი, 15 ივნისი ტაილანდიემ, ტოტტენბახმა და ლოუტერმა ბრძანება მიიღეს ტანჟერს დაბრუნდნენ.

პარიზი, 15 ივნისს მთავრობამ სენატს წარუდგინა პროექტი უზენაეს სამჯავროს მიერ დასჯილთ პატიების შესახებ.

ბერლინი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ გერმანიის აფიცრებმა დაამარცხეს ჰოტენტოტების მეთაური.

პეტერბურგის ბირჟა 15 ივნისი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,80
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,67½
ბირჟის დისკონტი	5½ 6¾%
4% სახელმწიფო რენტა	87¼
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1908 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მოგ ბილ. 1864 წ.	401
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	308
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	269¼
5% ობლ. ტფილ. სარ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს აკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	195½

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი**

განცხადებანი

საბუხჰალტერო და საკანტორო
საქმეების კურსები
ტფილისის საკომერციო სასწავლებელში.
(წელიწადი მეექვსე)

კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას, საკომერციო არითმეტიკას, საკომერციო მიწერ-მოწერას და სავაჭრო წესს.

სწავლა იწყება 1905 წლის 15 სექტემბრიდან. მთელი კურსი 6 თვეზე ნაკლებ ხანს არ გასტანს. სალამოობით მეცადინეობა სამჯერ არის კვირაში. მსმენელებად შეუძლიანთ იყვნენ ორივე სქესის ნასწავლი პირნი. მთელის კურსის ფასი 40 მანეთია.

თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელობაზე მიიღება ყოველ დღე, დილის 10-დან 1 საათამდის სასწავლებლის კანცელარიაში (4—251—3)

ხუთი ახალი წიგნი
წიგნის მაღაზია „ცოდნა“ გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია ნ. ნიკოლაძისა	20

გარბაშის კეკლუცად მოხატული სურათები:
შოთა რუსთაველისა დიდი 50 კ. აკაკისა 40 კ. ილია ჭავჭავაძისა 40 კ. რაფიელ ერისთავისა 40 კ. ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ. ირაკლი მეფისა 30 კ. ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1—20 კ. თამარ მეფის დიდი სურათი 1—50 კაპ. პატარა 6 კაპ.

და სხვა უთვალავი წიგნები.

მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ **სასიკო მერკვილაძე.** (20—11)

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოებისა ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს
ნარდად გაყიდვა
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის
საქონლისა სწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346. იქვეა მრავლად
ტყავეულობა
რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა (60—ნ.—50)

ბებია ქალი
სოფიო ილიას ასული ლოკშ-გელბორდტი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 7 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—4)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელიქოვის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—შოთა ბაჩანაძე		10
იოსებ დავითაშვილის ლექსები		50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი		20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
I და III ტომი თითო	1	—
ი, ჭავჭავაძის I ტომი		70
იგივე II და III ტომი თითო		60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ		80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა		10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა		40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო		60
რაფ. ერისთავის I ტომი		60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი		20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა		35
სიბრძნე ბალავარისა		30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში		10
დვინის დაცემა, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა		80
დასტურ-ლამაი		20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა		25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა		20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ყვანგულოვისა	1	—

Доз. ценз. Тифлисъ, 15 Iюня 1905 г. печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა